# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 1 აგვისტო 2005 №173 (2496) ფასი 50 თეთრი


# დაწყობილ-დაუწყობელთა ეროვნული დაიწყო




## ბოლო წამის დრამა ისანში

გუშინწინ დაიწყო და დღეს დასრულდება თექვსმეტ დაწყობილ-დაუწყობელ გუნდამდე გაზრდილი საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური, რომლის მთავარ მატჩადაც სოხუმის „დინამოს“ და „ცხინვალის“ პატრიოტული შეხვედრა მიიჩნეოდა. სადაც პატრიოტიზმი და პოლიტიკაა, იქ გმირებსაცახსენებენ ხოლმე და სოხუმელ-ცხინვალელმა ფეხბურთელებმა მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყეს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაღუპულთა პატივსაცემად.

სხვა მხრივ, ჩემპიონატის პირველი ტური „თბილის“ — „ზესტაფონის“ დრამით გამოირჩა. იმერლებმა ბოლო წამზე გაიტანეს გადამწყვეტი გოლი და უწვერულ თბილისელ ჭაბუკებს თვალები აუცრემლეს.

ტური დღეს „ტორპედო“ — „ამერისა“ და „ლოკომოტივ“ — „სიონის“ მატჩებით ჩამთავრდება.



# საქართველოს XVII ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

**უმაღლესი ლიგა** პირველი წრე 1 ტური

თბილისი. 31 ივლისი. 17.30 საათი. ოლიმპი. 2 500 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 0:1 ზესტაფონი

0:1 კვერნაძე (90)

**თბილისი:** სომხიშვილი, ბერიძე (გ. დარსაძე 53), ბარამიძე, გ. ფოფხაძე, თოფურია (გოგოხია 63), მიმინოშვილი, ხაჭიპერაძე, ბოჭოიძე, ხოხონიშვილი (გიორგი იაშვილი 83), ფიფია, რევაზ ბარაბაძე
*სათადარიგონი:* ბლაგიძე; გ. კვარაცხელია, კვასხვაძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, შ. ლონლაძე, ძამსაშვილი, ხიდეშელი, ბესარაშვილი, სულაკაძე (ნუდნი 46), კ. ხიზტიანი, გ. თურმანიძე (კვერნაძე 72), განუგრავა, იონანიძე, ბ. გოცირიძე (იმედაძე 62)
*სათადარიგონი:* ბზიკაძე; პარამონოვი, ფეზუაშვილი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ფიფია (12), ლონლაძე (34), ფოფხაძე (35), იონანიძე (67)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ურუშაძე (თბილისი), ს. გაგნიძე (გორი); დ. კურტანიძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** ს. კოტრიკაძე



ახალგაზრდა თბილისელებმა გოგი ფიფიას კაპიტნობით სტუმრებს ბევრი თავსატეხი გაუჩინეს

# ცრემლი ბოლო წამ-წამზე

**კობა ინასარიძე**

„**თბილისის**" მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა პარასკევს, პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ჩემპიონატის საწყის სამ ტურს ჩემი გუნდი მოსამზადებლად გამოიყენებს, ბრძოლას კი მერე დაიწყებსო. „თბილისი", რომელიც მეტწილად 17-18 წლის ბიჭებითაა დაკომპლექტებული, ჩემპიონატისთვის სრულად ორი კვირის წინ შეიკრიბა, მწვრთნელიც მაშინ დაინიშნა და გასაკვირიც არ უნდა იყოს, დევდარიანმა გუნდის შესათამაშებლად ჩემპიონატის სამი მატჩიც რომ დაგეგმა.

მწვრთნელის სიტყვების გათვალისწინებით, გასაკვირი „თბილისის" გუშინდელი თამაშია, გუნდს კი შეუთამაშებლობაზე მეტად გამოუცდელობა დაეტყო. ანგარიშმა არ მოგატყუოთ, „თბილისი" გუშინ წაგებას არ იმსახურებდა, მეტიც, მასპინძლებზე მოგებაც ალალი იქნებოდა.

...„ზესტაფონმა" თბილისში ის შემადგენლობა ჩამოიყვანა, რომლითაც წინა სეზონი დაასრულა, იმერლებს მხოლოდ ერთი ახალი ფეხბურთელი ჰყავდათ — გიორგი ხიდეშელი, რომლის თაობაზეც „თბილისი" დავობს, ჩვენი ფეხბურთელია და „ზესტაფონმა" მიისაკუთრაო. „თბილისს" კი შარშანდელი სეზონის ძირითადიდან ერთადერთი გოგი ფიფია შერჩა, მეკარე გიორგი სომხიშვილი სწორედ „ზესტაფონიდან" დაიმატა, ხოლო დანარჩენები საკუთარი სკოლიდან შეარჩია.

პირველი ხიფათი მატჩის დასაწყისშივე მასპინძლებმა შექმნეს. მარჯვენა ფლანგიდან კარისკენ მიხეილ თოფურია გაქანდა და ზურაბ ქვაჩახიას ახლო კუთხეში ძლიერადაც დაურტყა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა. „ზესტაფონის" საპასუხო შეტევა კი მიხეილ ბესარაშვილის დარტყმით და სომხიშვილის ჩინებული ნახტომით დამთავრდა. მეკარის მოგერიებული ბურთი ბესარაშვილმა ისევ კარისკენ გაუშვა, წინ გამოსული სომხიშვილი კი ჰაერში გაიშალა და ბურთს თითები წაჰკრა — საბოლოოდ კუთხური...

შესვენებამდე მოედანზე მაინცდამაინც საინტერესო სხვა არაფერი მომხდარა. „თბილისი" უფრო სწრაფად და მოქნილად თამაშობდა, „ზესტაფონი" კი ჩაშლით იყო დაკავებული და არც ჩვეული კონტრშეტევები გამოსდიოდა.

მეორე ტაიმი „ზესტაფონმა" შეცვლით და მოედნის ცენტრის გაძლიერებით დაიწყო: თემურ მახარაძემ გოჩა სულაკაძეს მოლდოველი სერგეი ნუდნი ამჯობინა, სტუმართა შუა ხაზიც თითქოს შეიკრა და ბურთიც ზესტაფონელთა ფეხთან უფრო ხშირად იყო, მაგრამ მომენტები ზედიზედ სწორედ მათ კართან იქმნებოდა. ისევ და ისევ ტემპის ხარჯზე — „თბილისი" გაცილებით სწრაფად თამაშობდა.

ყველაზე რეალური საგოლე მომენტი რევაზ ბარაბაძეს ჰქონდა, ის მეკარესთან პირისპირ დარჩა, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე ბურთი მეკარეს გადააველო და კარის შორეული კუთხისკენ გაგზავნა, მაგრამ მიზანს ოდნავ დააკლდა. მერე გოგი ფიფია და მისი ტექნიკის დემონსტრირება ვნახეთ, საოცარი გოლის მოლოდინი იყო, მაგრამ ბოლოწამს მცველმა დარყმულს დააფარა და ბურთი კუთხურზე გადაგორდა.

„ზესტაფონი" ბოლო ათი წუთი ათამაშდა ისე, რასაც მისგან ქომაგები ელოდნენ. ჯერ იყო და, გიორგი იმედაძე მეკარის ცხვირწინ დარჩა, მერე კი ბესარაშვილმა მიაყოლა ზურაბ იონანიძის გამოზომილ პასს, ბურთი ორჯერვე კარს ასცდა. ამ მომენტებს შორის მოედანზე თბილისელი გიორგი იაშვილი შევიდა, რომელსაც საჯარიმოს ხაზზე გაჩერებული ბურთი და ზესტაფონელთა კედელი დახვდა. ეს ბიჭი, ეტყობა, საჯარიმოებს კარგად ურტყამს და ამჯერადაც მას მისცეს ამის საშუალება — ბურთმა კედელსაც და კარსაც შემოუარა.

...და კულმინაცია: არბიტრმა ძირითად დროს ორი წუთი დაამატა და სწორედ მაშინ საჯარიმოში უსასამართლოდ ჩაწოდებული ბურთი სომხიშვილს ხელებიდან გაუვარდა. მის სიახლოვეს თითქოს არავინ იყო, თუმც მოედანზე დავარდნილ ბურთს პირველმა რევაზ კვერნაძემ მიუსწრო და შეუჩერებლად შორეულ კუთხეში გაიტანა.

ასე წააგო „თბილისმა", არადა...





საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 1 ტური

## საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეს-რელიზი

ამ დღეებში ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი, რომელთა ავტორთა სურვილია ქართული ფეხბურთის ახალი („ზესტაფონური“) საშიშროებისგან „ხსნა“. გაისმის სხვადასხვა სახის ბრალდებები და გაფრთხილებები მოსალოდნელი „საფრთხეების“ შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ინფორმაცია ყოველივე ამასთან დაკავშირებით. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრესსამსახური უფლებამოსილია, განაცხადოს შემდეგი:

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ქართული ფეხბურთი ცნობილ მიზეზთა გამო იმყოფება უსაშინლეს კრიზისში. ამას მოწმობს ეროვნული ნაკრებისა და ქართული კლუბების მიერ საერთაშორისო ასპარეზზე ბოლო პერიოდში ნაჩვენები შედეგები. არავისთვის არ უნდა იყოს ახალი ის ფაქტი, რომ ქართულ ფეხბუთს ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად სასწრაფოდ სჭირდება ქმედითი და მიზანდასახული ნაბიჯების გადადგა. ჩვენი ღრმა წრმენით, სწორედ ასეთი ნაბიჯების გადადგმას გეგმავს სფფ-ის ახლადარჩეული ხელმძღვანელობა ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონ ნოდარ ახალკაცის მეთაურობით. როგორც მოგეხსენებათ, სფფ-ს შემუშავებული აქვს ქართული ფეხბურთის განვითარების 6-წლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ფეხბურთის დონის სულ სხვა ხარისხობრივ კატეგორიაში აყვანას. ამისათვის საჭიროა საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარების გზით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება, ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდა და ამ ფეხბურთელების ჭეშმარიტ პროფესიონალებად ჩამოყალიბება. ეს ყველაფერი საბოლოოდ დადებითად ამოქმედებს ქვეყნის უმთავრესი გუნდის შედეგებზე.

მოგახსენებთ, რომ ზესტაფონში წელიწადზე მეტია, რაც დაიწყო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საფეხბურთო ინფრასტრუქტურის შექმნაზე მუშაობა. ალბათ, დაგვეთანხმებით იმაში, რომ შესაბამისი ბაზის გარეშე ფეხბურთში წარმატებაზე ფიქრიც კი ელემენტარული უვიცობაა. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ სპონსორებს სადღეისოდ კლუბის მეურნეობის შენების საქმეში უკვე ჩადებული აქვთ 1,5 მილიონ დოლარამდე. საუბარია ახალი მოედნების დაგებაზე, სტადიონის რემონტზე, ბაზის მშენებლობაზე და ა.შ.

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“, იზიარებს რა ქართული ფეხბურთის განვითარების 6-წლიან პროგრამას, მიიჩნევს, რომ ქართული ფეხბურთის წინაშე მდგომი უმთავრესი ამოცანა ნაკრების დონის ამაღლებაა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან სწორი და მიზანდასახული მუშაობის წარმართვა და ახალგაზრდა თაობის ძლიერ ფეხბურთელებად ჩამოყალიბება. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონისთვის“ აბსოლუტურად მიუღებელია ის ვითარება, როდესაც ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელები კარიერას „ხიმკისა“ და „როსტოვის“ დარ „გრანდებში“ აგრძელებენ.

ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს კლუბს არ გაუყიდია არც ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შემოთავაზებები იყო. „ზესტაფონში“ მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდებმა რამდენიმე წლის მანძილზე უნდა იმუშაონ სათამაშო დონის ამაღლებაზე, გამოადგნენ კლუბს, ნაკრებს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს მათი გასხვისება მაღალი დონის, ვიმეორებთ, მაღალი დონის ევროპულ კლუბებში. საფეხბურთო კლუბი „ზესტფონი“ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ტალანტების ჩალის ფასად გასხვისებას. ჩვენთან ახალგაზრდა ფეხბურთელებს აქვთ ყველა პირობა საიმისოდ, რომ გახდნენ მაღალი დონის პროფესიონალები და გამოადგნენ ეროვნულ გუნდს.

რაც შეეხება სააქციო საზოგადოება „ფეროსა“ და სფფ-ის ფინანსური ურთიერთობების ყბადაღებულ თემას, გვინდა მოგახსენოთ, რომ 2004 წელს სპონსორმა შეასრულა თავისი ვალდებულებები და გადაურიცხა სფფ-ს 75 000 ამერიკული დოლარი. რაც შეეხება ამ ისტორიის წლევანდელ გაგრძელებას: სპონსორის დაინტერესებას, თუ ვინ და რაში დახარჯა ხსენებული თანხა, პასუხი არ ექნა გაცემული. დაგვეთანხმებით, რომ ნაკრების დღევანდელი მდგომარეობა სულაც არ არის ის სამოთხე, რომლის შესახებ დაპირებებით ქართულ საზოგადოებას კვებავდნენ ბოლო პერიოდამდე.

რაც შეეხება საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ მთავარი გუნდის ეროვნული ნაკრების ბაზაზე წინასასეზონო სამზადისს და ამის გამო ატეხილ მითქმა-მოთქმას, მოგახსენებთ, რომ კლუბი იხდის ბაზაზე ცხოვრებისა და მზადების საკმაოდ სოლიდურ საფასურს.

გვინდა განვაცხადოთ, რომ საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ მომავალშიც აპირებს სფფ-სთან მჭიდრო ურთიერთობის გაგრძელებას ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონისთვის“ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ქართული ფეხბურთის სამსახური, კერძოდ ის, რომ ქართველმა ფეხბურთის მოყვარულებმა ბოლოს და ბოლოს ვიხილოთ ეროვნული ნაკრები რომელიმე დიდ საფეხბურთო ფორუმზე და ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ მზადა ვართ თავდაუზოგავი შრომისთვის.

საქართველო რომ პარადოქსების ქვეყანაა, კარგად ცნობილი ფაქტია. ის, რომ ერთ-ერთი იმერული ქალაქის გუნდი ცდილობს თავის დამკვიდრებას ქართულ საფეხბურთო ელიტაში და საამისოდ ატარებს აქტიურ საკადრო პოლიტიკას, მიჩნეულია სხვადასხვა „ბოროტებების“ პირველწყაროდ. არადა, მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ საქართველოს ჩემპიონატის ბედს მძიმე სამხედრო ტექნიკაზე ამხედრებული, საფეხბურთო მოედნისკენ ავტომატმომარჯვებული შეიარაღებული პირები წყვეტდნენ, თავის დროზე „ნორმად“ იქნა მიჩნეული. სხვათა შორის, დამოუკიდებელ მედიას დღემდე არ გაუშუქებია მაშინდელი მოვლენები.

რაც შეეხება ქართული ფეხბურთის „გაზესტაფონელებით“ შეძრწუნებულ ავტორებსა და რესპონდენტებს, გვინდა მოგახსენოთ, რომ უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთება იმის შესახებ, რომ „ზესტაფონი“ სხვა კლუბებს ფეხბურთელებს ართმევს — რბილად რომ ვთქვათ, ცილისწამებაა. ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ და ქუჩური ლექსიკით საუბარი, ჩვენის აზრით, საკმაოდ უხერხულია.

ჩვენ ვართ მზად ნებისმიერი სადავო საკითხის სამართლებრივ ჭრილში გადასაწყვეტად. არც ერთი იმ ფეხბურთელთაგანი, ვინც სადღეისოდ ჩვენს კლუბში ირიცხება, არანაირი ვალდებულებით სხვა კლუბებთან არ იყო დაკავშირებული. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი კლუბის პრეზიდენტი ხომ თავის დროზე პირველი ლიცენზირებული ფიფას აგენტი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ამდენად რაღაც სამართლებრივ „ლაფსუსებზე“ საუბარიც სასაცილოა.

ჩვენი დიდი სურვილია, ყველა ერთად სპეციალისტებიც, ჟურნალისტებიც, რიგითი გულშემატკივრებიც ერთმანეთს ფეხბურთის სიყვარულში შევეჯიბროთ. მით უმეტეს, რომ კარს მე-17 ეროვნული ჩემპიონატიც მოგვადგა.

*საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეს-სამსახური*

თელავი. 30 ივლისი. 17.30 საათი. გივი ჩოხელი. 5 000 (ტევადობა 15 000)

## კახეთი 1:3 დინამო

0:1 მეგრელაძე (13), 0:2 ბაბუნაშვილი (33), 1:2 კობაიძე (36), 1:3 მახარაძე (90)

**კახეთი:** გიგა იაშვილი, ზ. ლაბაძე, ტარუღაშვილი, ბედოიძე, კუპრაშვილი, კეველიშვილი (იმერლიშვილი 68), გ. ნადირაშვილი (მეტრეველი 65), კობაიძე, ნ. დავითაშვილი, დ. ბურდული, გელაშვილი (ტეტიაშვილი 83)
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, ბიძინაშვილი, ამირანაშვილი, ბ. ბურნაძე
**მწვრთნელი:** ოთარ კორღალიძე

**დინამო:** სტურუა, გიგაური (ქემოკლიძე 46), ორბელაძე, ამისულაშვილი, ალადაშვილი, ლ. ნოზაძე, კანდელაკი, დ. ოდიკაძე (კ. მახარაძე 58), ბაბუნაშვილი, მელქაძე, მეგრელაძე (აკობია 90)
*სათადარიგონი:* ზოიძე; ნავალოვსკი, დვალიშვილი, ს. იაშვილი
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**გაფრთხილება:** ორბელაძე (19), ლაბაძე (44), ორბელაძე (67)

**გაძევება:** ორბელაძე (67), ცხადაძე (77)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. ბფციაური (დუშეთი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

## დინამოსა სიწითლითა...

**ვაჟა ხუციშვილი** თელავიდან

**რა** საერთო აქვთ „ლევადიას“, „ბრონდბიუს“ და თელავის „კახეთს“? რა და, ამ გუნდებთან მატჩებში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი გაუძევეს. ევროთასული „სიწითლე“ თბილისელებს საქართველოს ჩემპიონატშიც გადმოჰყვათ და გუნდის მწვრთნელსაც გადაედო. ლევან ფანიაშვილთან ორჯერ შეკამათების შემდეგ, 77-ე წუთზე, კახა ცხადაძემ კუთვნილი ადგილიდან ტრიბუნაზე გადაინაცვლა. პრესკონფერენციაზე „დინამოს“ თავკაცმა თქვა, მსაჯებს და ქომაგებს ბოდიშს ვუხდიო.



კახა ცხადაძეს მსაჯებთან ლაპარაკი ძვირად დაუჯდა

ცხადაძისა და ფანიაშვილის „დიალოგი“ სერგო ორბელაძის გაძევებისთანავე დაიწყო. არბიტრი მოედნის კიდესთან მივიდა და მოდავე მწვრთნელი ტრიბუნისკენ გაშვერილი თითით გააფრთხილა, თუ არ დაწყნარდებით, ადგილს შეგაცვლევინებთო. აქედან ხუთიოდ წუთში კახა ცხადაძე კიდევ შეეკამათა ფანიაშვილს. მატჩის ინსპექტორმა ოთარ გუნთაძემ და მეოთხე მსაჯმა ვასილ ელისაბედაშვილმა გაცხარებული ცხადაძის დაცხრომა სცადეს — დაახლოებით ერთწუთიანი ხმამაღალი ლაპარაკი „დინამოს“ მწვრთნელის გაძევებით დასრულდა.

სანდრო იაშვილის ძმა, „კახეთის“ მეკარე გიგა იაშვილი მე-13 წუთზე უხეშად შეცდა — მარცხენა ძელთან ბურთი ხელიდან გაუვარდა, გია მეგრელაძემ კი საჩუქარი შეირგო და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

ოცი წუთის შემდეგ მეგრელაძის ჩაწოდებულ ბურთს შოთა ბაბუნაშვილმა ცაცია ჰაერშივე დაუხვედრა და იაშვილს შანსი არ დაუტოვა — 0:2.

პირველი ტაიმის ბოლოს კი „კახეთის“ მეკარემ ტრიბუნას ტაში მოსწყვიტა — მეგრელაძეს ხუთიოდ მეტრიდან სასწაულებრივ აუღო.

მანამდე კი თელაველთა შეტევა დასრულდა გოლით. დინამოელმა მცველებმა საჯარიმოდან ვერ გამოიტანეს ბურთი, რომელიც კობა კობაიძის დარტყმის შემდეგ რიკოშეტით ზვიად სტურუას ზურგსუკან ჩაეშვა — 1:2.

ნამატჩევს ორივე გუნდის მწვრთნელმა აღნიშნა გუნდებს შორის კლასში სხვაობა. სწორედ ამის გამო იყო, რომ „კახეთმა“ მეორე ტაიმში ორბელაძის გაძევებით და მეტოქის კაცნაკლულობით ვერ იხეირა, თუმც მასპინძლები უმომენტოდ არ ყოფილან. 84-ე წუთზე სტურუამ საჯირიმოს გარეთ თავით ითამაშა, კარი ცარიელი დარჩა, მაგრამ რატი იმერლიშვილის დარტყმული ბურთი დინამოელთა მცველმა კარისკენ არ გაუშვა.

სტუმრებს ათკაციანობა არც ლასტყობიათ, კიდევ სამი-ოთხის გატანა შეეძლოთ, მაგრამ გიგა იაშვილმა ლევან მელქაძეს ორჯერ აჯობა — ჯერ ფეხებით მოიგერია ბურთი, მერე კი „დინამოს“ ფორვარდს ახლოდან ძლიერად დარტყმული აუღო.

„კახეთმა“ ბოლო წუთზე მესამე გოლი მაინც გაუშვა. კახა მახარაძემ საჯარიმოს გარედან ეშმაკურად მოჭრა ბურთი და იაშვილისგან მარცხენა მაღალ კუთხეში გაიტანა — 1:3.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა პირველი წრე 1 ტური

# ცხინვალის სოლო

## მოსალოდნელი საფრთხე: პირველი გადამგდები პირველივე ტურში

თბილისი. 30 ივლისი. 17.30 საათი. შევარდენი. 1 500 (ტევადობა 2 000)

### სოხუმი 0:2 ცხინვალი

0:1 ბ. ჩიტაია (64), 0:2 ბაკარანძე (90პ)

**სოხუმი:** ა. ლაბაძე, ჭყონიძე, შამუგია, ლაშა ხილაგაძე, გ. ჩხაიძე, ხაჩიძე, ჩომახიძე, რუსია, გუჩუა, ბ. შენგელია (თოლორდავა 62), მამფორია (ეგაძე 31)
*სათადარიგონი:* სეფიაშვილი; ერქვანია, ფარჯიანი, მაჩალაძე
**მწვრთნელი:** გოჩა ჟორჟოლიანი

**ცხინვალი:** სოლოლაშვილი, ფერსაევი, ქობესაშვილი, ლომიძე, დ. მაისურაძე, გ. ჩიტაია (ეჯოშვილი 83), გამცემლიძე, დ. ხანიშვილი, მოსიაშვილი, ბაკარანძე, ბ. ჩიტაია (ბოლოთაშვილი 68)
*სათადარიგონი:* ქესანაშვილი; ხოხობაშვილი, გ. მაისურაძე, შუბითიძე, გ. კაიდარაშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ მაისურაძე

**გაფრთხილება:** რუსია (42), ხანიშვილი (60), შამუგია (82)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** ს. კუტივაძე



ცხინვალელებმა სოხუმელებს ბექა ჩიტაიასა და პაატა ბაკარანძის გოლებით სძლიეს

ილია ნანობაშვილი

**ნეტავ** იმ დროს მოვასწრო, სოხუმში რომ წავალთ ფეხბურთის სანახავად — შაბათს ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებდით, მეტრო „ისნიდან" „შევარდენის" სტადიონამდე სამარშრუტო ავტობუსში სალაპარაკო თემა ფეხბურთი იყო და მერე რა, რომ ძაან თამაში არ გვინახავს?! ამას არც არავინ ელოდა, უბრალოდ, ფაქტი იყო საინტერესო: პოლიტმოტივით უმაღლეს ლიგაში ჩარიცხული გუნდები პირველივე ტურში დაეჯახნენ ერთმანეთს.

„შევარდენზე" იმდენი ხალხი მოვიდა, ბოლო წლებში თბილისურ მატჩებზე რომ სანატრელია. ეს სარბიელი ერთწლიანი შესვენების შემდეგ უმაღლეს ლიგას კოხტა მინდვრით დაუბრუნდა — ყოველ შემთხვევაში, ორმოები არსად იყო და ბალახი ზამთარსაც თუ გაუძლებს...

უცხოეთში ყოფნის გამო „სოხუმ" — „ცხინვალის" პატრიოტულ თამაშს ნოდარ ახალკაცი ვერ დაესწრო, თუმცა ლოჟაში ისხდნენ ფედერაციის გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა და შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი. მატჩის დაწყებამდე გუნდების კაპიტნებმა, ვალტერ გუჩუამ და მიხეილ მოსიაშვილმა ჩემპიონატის გახსნის დასტურად ჰიმნის თანხლებით ეროვნული დროშა აღმართეს, მერე კი გუნდებმა წუთიერი დუმილით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულ გმირებსაც მიაგეს პატივი.

ახლა ბურთის გზას გავყვეთ: თავიდანვე გამოჩნდა, რომ ფავორიტი „ცხინვალი" იქნებოდა. ზურაბ მაისურაძის გუნდი უფრო გააზრებულად და ფხიანად უტევდა.

მე-8 წუთზე გიორგი ლომიძემ ნაკუთხურალს თავური დაჰკრა და სოხუმელთა მეკარე ავთანდილ ლაბაძისგან ასხლეტით ბურთმა ძელი „მოინახულა". მალევე ქართლელთა ფორვარდი პაატა ბაკარანძე ცდილობდა ლაბაძისთვის თავზე ბურთის გადატარებას, მაგრამ მახვილი კუთხიდან სიზუსტემ დაალალატა. ორიოდ წუთში სოხუმელთა მეკარემ პაატა გამცემლიძეც დააღონა, როდესაც ფეხებში ჩაუხტა და გატანა არ დაანება.

გოჩა ჟორჟოლიანის შეგირდებმა ტაიმის ბოლოს გაათანაბრეს თამაში, თუმცა ერთ ნახევრადმომენტზე მეტს ვერ გამორჩნენ — მეკარე რამაზ სოლოლაშვილმა შოთა ჩომახიძისა და ლაშა ეგაძის კომბინაცია იოლად ჩაშალა.

„სოხუმს" ტრავმების გამო ორი წამყვანი მცველი, თენგიზ უგრეხელიძე და გიგა ჟვანია აკლდა, მათ თანაამპლუელ მამუკა წერეთელს კი ირანიდან სატრანსფერო ფურცელი არ ჩამოუვიდა. „ცხინვალი" კი მაინც პირველ ლიგაში დაღვინებული გუნდია, შეთამაშებულები არიან და ამ ფაქტორმა მეორე ნახევარში უფრო გაჭრა...

ბექა ჩიტაიამ შორიდან ხარიხას გაარტყა ბურთი, გოლიც თითქოს მოამწიფა და მალე თავადვე გაიტანა, როცა გამცემლიძის კუთხურიდან ჩაწოდებულს თავით დაუხვდა — 0:1. ეს ამბავი 64-ე წუთზე მოხდა.

თქვენც არ მომიკვდეთ, „სოხუმს" შეტევები მოეწყო — არც ძალა ეყო, არც მარიფათი... საკითხავი ისღა იყო, „ცხინვალი" კიდევ რამდენ გოლს გამორჩებოდა. გამცემლიძე, ხანიშვილი და მოსიაშვილი ცენტრში აშკარად ჯობდნენ გუჩუას რაზმს. ტემპშიც შედარება არ იყო — ქართლელები გაცილებით ბევრს მოძრაობდნენ და წერტილიც დასვეს: ბოლო წუთზე მიხეილ მოსიაშვილმა ბაკარანძე ლაბაძესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ცხინვალელთა ფორვარდს სოხუმელი მანუჩარ შამუგია წამოეწია და ჰოკეის ილეთით გაუმასპინძლდა — პენალტი ბაკარანძემ თავად დაარტყა და 0:2.

პენალტზე ჭოჭმანი არ იყო, მაგრამ, ვფიქრობთ, მსაჯს შამუგია უნდა გაეძევებინა კიდეც — ბოლო იმედის ჯარიმა იყო და იმიტომ. მაგრამ ჩვენში ხომ ყველაფერი ორიგინალური უნდა იყოს... ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მეშკოვმა მანამდე კიდევ ერთი სოხუმელი, მამუკა რუსია არ გაიმეტა გასაძევებლად.

მოკლედ, პატრიოტულმა მატჩმა ნათლად დაგვანახვა, რომ ცხინვალელები გუნდს ჰგავანან და ალბათ უმაღლეს ლიგაში დარჩენა არ უნდა გაუჭირდეთ, „სოხუმი" კი ძალიან უსუსურია...

## პრესკონფერენცია

*ზურაბ მაისურაძე:* ამ თამაშს პოლიტიკური მოტივი დაურთეს, მაგრამ რეალობაში ეს მხოლოდ რიგითი მატჩი იყო. მიხარია, რომ მოვიგეთ, ბიჭები კარგად გაისარჯნენ, მაგრამ ეს ჩვენი მაქსიმუმი არაა. ახალი წლიდან ბიუჯეტის გაზრდას გვპირდებიან, რაც შემადგენლობის გაძლიერების საშუალებასაც მოგვცემს. მიხეილ ქარელს დიდ მადლობას ვუხდით თანადგომისთვის.

*გოჩა ჟორჟოლიანი:* სამი მცველი გვაკლდა და თავდამსხმელი შამუგია დაცვაში ვათამაშე. აბა, ამის შემდეგ რომელ შედეგზეა ლაპარაკი?! ჟვანიას და უგრეხელიძეს მცირე ტრავმები აქვთ, იაფი მედიკამენტი გვინდოდა და ისინი დღეს ითამაშებდნენ, მაგრამ საამისო თანხა არ იყო. ფინანსურად ძალიან გვიჭირს — ის კაცი, რომელიც გულზე მაისურას იხევდა, ოღონდ გუნდი იყოს და არაფერს მოგაკლებთო, არსად ჩანს. მხოლოდ რამდენიმე გულშემატკივარი და ორგანიზაცია კლუბს ვერ შეინახავს. ვნახოთ, გვპირდებიან და იმედია, ამოვისუნთქებთ.



მიშაც აქ არის ქარელი, გრიშაც აქ არის ცაავა





მანუჩარ შამუგიასგან მოცელილმა პაატა ბაკარანძემ პენალტი თავადვე შეასრულა

# განაცხადები

### ტორპედო ქუთაისი

1 ნუკრი რევიშვილი
2 რატი ბარაბაძე
3 კახა ებრალიძე
4 ირაკლი ჯანჯალია
5 ნიაზ მაღლაკელიძე
6 დავით ხურცილავა
7 კობა შალამბერიძე
8 გოჩა ჯავოიანი
9 გიორგი კეტაშვილი
10 ზვიად ჩხეტიანი
11 თედო ფესტვენიძე
12 აკაკი კვერნაძე
13 ალექსანდრე ლაღაძე
14 მიხეილ ტეხოვი
15 დავით ონიანი
16 გაგა ბურჯანაძე
17 გიორგი გორგოძე
18 არმაზ დოლონაძე
19 გიორგი ჯაში
20 შოთა ქურციკიძე
21 მამუკა ლონლაძე
22 ბექა კავთელაძე
23 დავით ჯანაშია
24 გაგა ბზიკაძე
25 ნიკოლოზ რუხაძე
26 გიორგი შენგელია
27 გიორგი ბარაბაძე
28 მალხაზ შველიძე
29 გიორგი ტორაძე
მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე

### დინამო ბათუმი

1 ირაკლი თოთლაძე
2 ირაკლი ბალაძე
3 ივანე მახარაძე
4 დიმიტრი ფირცხალაიშვილი
5 დავით გალოგრე
6 ბესიკ თედორაძე
7 ბეგლარ თედორაძე
8 ვიტალი დარჩიძე
9 ზურაბ ექონია
10 გიორგი მანწკავა
11 კახა ქაცარავა
12 დავით გოგიშვილი
13 ლაშა ჩხაიძე
14 ირაკლი ცანავა
15 ზურაბ დუმბაძე
16 გიორგი მიქაძე
17 დავით დათვაძე
18 ზაზა ზირაქიშვილი
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

### სიონი ბოლნისი

1 მინდია ბობღიაშვილი
2 ნიკა' გავაშელი
3 დავით სვანიძე
4 გიორგი ოქროპირიძე
5 ვლადიმერ უგრეხელიძე
6 ლევან ბაჯელიძე
7 კოკა მიკუჩაძე
8 ლევან მერებაშვილი
9 დავით ბოლქვაძე
10 ლევან ხმალაძე
11 გრიგოლ დოლიძე
12 ბესიკ ქარდავა
13 გიორგი ქუცურუა
14 მიხეილ ტატიშვილი
15 მიხეილ კორსანტია
16 თენგიზ ჩიკვილაძე
17 გიორგი კვიტაიშვილი
18 თემურ რაქვიაშვილი
19 ჯაბა დვალი
მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ზენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 1 ტური



მეტოქესთან შეჯახებისას ვიტელთა ლიდერ პაატა დათუნაიშვილს (მარცხნივ) კბილი ჩამოსტყდა

# ფილიას ფილთა გაუვარდა

ფოთი. 30 ივლისი. 17.30 საათი. ფაზისი. 1 000 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:0 ვიტ ჯორჯია

1:0 ქუთათელაძე (71)

**კოლხეთი:** ლატარია, გ. კალასონია, ჯ. შალამბერიძე, ქუტიძე, თურქია, ვართაგავა, გოჩალეიშვილი (ფარულავა 35), ცეკვაშვილი (ყურაშვილი 21), მარგალიტაძე, კრასოვსკი (სამსეიშვილი 67), ზ. ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* მიქავა; წაბრია, ტყებუჩავა, გ. სახოკია
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, იმედაშვილი, დ. ლომაია, ლ. ჯაფარიძე, ქუხილავა (ცბანოიძე 72), აბშილავა, ლ. მანწკავა (ზ. სახოკია 46), დიღმელაშვილი, პ. დათუნაიშვილი (ცხომარია 44), გ. დათუნაიშვილი, მარცვალაძე
*სათადარიგონი:* მუჯირიშვილი; რაზმაძე, ლ. კვარაცხელია, კუსრაშვილი
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** კილასონია (26), თურქია (34), ლომაია (35), ცხომარია (66), ვართაგავა (71), მარგალიტაძე (85), ჯაფარიძე (89)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ინსპექტორი:** ა. დურსუნიში; **დირექტორი:** გ. ჯიშკარიანი

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**ფოთის** მერიას შეკედლებულმა „კოლხეთმა" ახალი სეზონი მცირე სასწაულით დაიწყო და ოთხი დღის ნავარჯიშევმა გუნდმა, მართალია, გაახალგაზრდავებულ, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევ „ვიტ ჯორჯიას" სამი ქულა აართვა.

სოსო ფილიას „კოლხეთში" დაბრუნება წარმატებული გამოდგა და ამაში მას ცოტა იღბალი, შეგირდთა ჟინი და მონდომება წაეხმარა. ვერავინ იტყვის, კოლხებმა დაუმსახურებლად მოიგესო, მაგრამ არც ის გაუკვირდებოდა ვინმეს, სტუმრებსაც რომ მოეგოთ.

როგორც წესი, მატჩამდე სეზონი გაიხსნა, ოღონდ ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე — მცირედი შესავალი სიტყვა ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ბორის ბარამიამ წარმოთქვა, რასაც კაპიტნების მიერ ეროვნული ჰიმნის ფონზე ხუთჯვრიანი დროშის აღმართვა მოჰყვა.

შეხვედრა ორმხრივი შეცდომებით დაიწყო და ათი წუთი კი გავიდა, სანამ ფეხბურთელები გონს მოვიდნენ. პირველად სტუმრები გამოფხიზლდნენ და ორწუთიან მონაკვეთში ლაშა მანწკავას ფეხით, ხოლო გიორგი დათუნაიშვილს თავით აუცდათ დარტყმები.

კოლხთა პასუხი უფრო მწვავე გამოდგა — ზვიად ქუთათელაძე უხერხული სიტუაციიდან, ვარდნით ცდილობდა გატანას, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილს ვერ აჯობა, დამატებაზე კი ედიშერ მარგალიტაძეს მცველებმა დაასწრეს. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ვიტელმა მცველებმა ვერ გაიყვეს და დავით იმედაშვილისგან ასხლეტილი ბედიაშვილმა უკუაგდო ბოლო მომენტში.

ორიოდ წუთში იმედაშვილი უკვე კოლხთა კარს დაემუქრა, მისი დარტყმული იმდენად მძლავრი იყო, კარში რომ წასულიყო, უეჭველი გოლი იქნებოდა.

ეს ყველაფერი, რაც მოგახსენეთ, ოცმა წუთმა დაიტია, რასაც შესვენებამდე ისევ არეული ბურთაობა მოჰყვა.

ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ სოსო ფილიამ ორი ნაადრევი ცვლილება მოახდინა და, როგორც შემდეგ გაირკვა, არც შემცდარა. ახალშემოსულებმა მწვრთნელის მონახაზი უფრო გაამკვეთრეს და რაც მთავარია, „კოლხეთმა" შეცდომებს უკლო.

შესვენებამდე წუთით ადრე ნესტორ მუმლაძესაც მოუწია იძულებით შეცვლის გაკეთებამ, რადგან ვიტელთა ლიდერ პავლე დათუნაიშვილს მეტოქესთან შეჯახებისას კბილი ჩამოსტყდა და თამაში ველარ გააგრძელა.

მეორე ტაიმი უფრო მხნედ დაიწყეს გუნდებმა და სიმწვავემაც იმატა ორივე კართან. ამათგან უფრო ორ მომენტს გამოვარჩევთ: ჯერ კოლხი თემურ ფარულავა ურტყამდა თავით, მაგრამ ბურთმა ხარიხას გადაუფრინა; ხუთ წუთში კი ვეტერინარებმა მატჩის ყველაზე რეალური საგოლე მომენტი გაანიავეს — ოთარ მარცვალაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ პირდაპირ ლევან ლატარიას დაუმიზნა.

საერთოდ, მარცვალაძე მანამდე უჩვეულოდ ინერტული ჩანდა, თუმც ეტყობა, ამ ეპიზოდმა გაალიზიანა და მას მერე გამორჩეულიც იყო სტუმართაგან. ერთია ოღონდ, ოთარის და მისი თანაგუნდელების ძალისხმევა ფოთელთა საიმედო თამაშს ვერაფერს აკლებდა.

71-ე წუთი იყო, გიორგი კილასონიამ მარჯვნიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, ტანმორჩილმა ზვიად ქუთათელაძემ კარგი პოზიცია შეარჩია და თავით შორეულ დაბალ კუთხეში გაიტანა — 1:0.

ამ გოლს ათასამდე კოლხი ქომაგის ალტაცება მოჰყვა — უზომოდ ხარობდნენ ფეხბურთელებიც და ლევან ვართაგავამაც მაისურის გახდისთვის ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

„ვიტ ჯორჯია" თამაშის გადარჩენას შეეცადა. მეტოქის საჯარიმოსაც მიეძალა, მაგრამ მხოლოდ ერთი ღირებული შანსი ებოძა — იმედაშვილის თავურს კარის ხაზზე მდგომი კახა თურქია გადაელობა და მასპინძლები აშკარა გოლს გადაარჩინა.

### პრესკონფერენცია

*ნესტორ მუმლაძე:* ვულოცავ „კოლხეთს" მოგებას. ჩემი ფეხბურთელებით უკმაყოფილი ვარ, დავალება ვერ შეასრულეს. მართალია, ახალ გუნდს ვაკეთებთ, ბევრი ახალგაზრდა გვყავს, მაგრამ მაღალ მიზნებზე ფიქრს მაინც ვაპირებთ.

*სოსო ფილია:* ჩვენი დღევანდელი ამოცანა არწაგება იყო. ერთი კვირაა, რაც შევიკრიბეთ და მხოლოდ ოთხი დღე წავივარჯიშეთ. მოგებას უფრო მაღალი სათამაშო დისციპლინის ხარჯზე მივაღწიეთ, თუმცა იღბალმაც გადმოგვხედა. ამბობენ, ფოთში მოკვდა ფეხბურთიო, არა, ბატონებო, ეს რომ ასე არაა, დღესაც გამოჩნდა.

# გორელები შაფაკაზე

გორი. 30 ივლისი. 17.30 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 200 (ტევადობა 8 230)

## დილა 1:0 სპარტაკი

1:0 ლაბაძე (22)

**დილა:** თ. ილურიძე, ლ. გოჩაშვილი, ი. კობახიძე (საყვარელიძე 78), მასურაშვილი, რევაზიშვილი, გ. ხანიშვილი, ტლაშაძე (გ. ნადირაძე 58), მ. თაყაძე, სულთანიშვილი, ალ. ლაბაძე (ი. თაყაძე 83), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* ნასყიდაშვილი, მარკოზაშვილი, ი. თომაშვილი, ხაჭაპურიძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**სპარტაკი:** ნაფეტვარიძე, ელიზბარაშვილი, ა. იმნაიშვილი, ტაბიძე (თ. დემეტრაძე 84), თ. მჭედლიშვილი, ჯანგიძე (კობალაძე 50), ხუბუა, ნაზღაიძე (კოტრიკაძე 46), მალიჩავა, ლუქაშვილი, მაღლაფერიძე
*სათადარიგონი:* ა. ლაბაძე, დანელია, ურუშაძე, დ. ფიფია
**მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე

**გაფრთხილება:** ტლაშაძე (42), ელიზბარაშვილი (45), კოტრიკაძე (50), მ. თაყაძე (86), ელიზბარაშვილი (86), ი. თაყაძე (87, 90), სულთანიშვილი (90)

**გაძევება:** ელიზბარაშვილი (86), ი. თაყაძე (90)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია; ა. ნონიკაშვილი, მ. ბეუქლიშვილი (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

**ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**მატჩის** დაწყების წინ გუნდების კაპიტნებმა საბა სულთანიშვილმა და ალექსანდრე იმნაიშვილმა საქართველოს ჰიმნის თანხლებით საზეიმოდ აღმართეს ქვეყნის სახელმწიფო დროშა და მე-17 ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი გორშიც გაიხსნა.

მატჩი ნელ ტემპში დაიწყო, რადგან ძალიან ცხელოდა. მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს სტუმართა კარს და უკვე მე-4 წუთზე სახიფათო მომენტი შექმნეს — სულთანიშვილი გაიჭრა მარცხენა ფლანგზე, ზუსტადაც ჩააწოდა თბილისელთა საჯარიმოში მყოფ დავით ტლაშაძეს, მაგრამ მას თავური სუსტი გამოუვიდა. სულთანიშვილის აქტიურობამ კიდევ ერთხელ დააფრთხო სტუმრები, თუმცა მიხეილ თაყაძეს მცველებმა აჯობეს.

21-ე წუთზე ქრისტეფორე შატაკიშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია, დამატებაზე ყველას სულთანიშვილმა დაასწრო და... ცარიელ კარს ააცილა.

გორელებმა წუთის მერე მაინც გაიტანეს — შატაკიშვილმა კვლავ დააქუხა, დავით ნაფეტვარიძე ისევ შეცდა, ბურთი ხელებში გაუძვრა, ხარიხას მოხვდა და გადმოვარდნილს ალექსანდრე ლაბაძემ მიუსწრო — 1:0.

მასპინძელთა შეტევები არ შეწყვეტილა 37-ე წუთზე ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ ტლაშაძემ ექვსი-შვიდი მეტრიდან არაზუსტად დაარტყა.

სტუმრები ეპიზოდურად თუ პასუხობდნენ მეტოქეს, მათ თამაშში ბევრი წუნი შეინიშნებოდა, თუმცა 41-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრების შანსი მაინც მიეცათ — დავით მაღლაფერიძე ხელსაყრელ სიტუაციაში ვერ შესწვდა ბურთს.

„სპარტაკი" მეორე ტაიმში უფრო ამოძრავდა. მასპინძლებმა მხოლოდ 55-ე წუთზე შექმნეს სახიფათო მომენტი, როცა თაყაძემ მეკარესთან პირისპირ გასვლით ვერ ისარგებლა და ამ მომენტმა სტუმრები უფრო გაააქტიურა.

მატჩის ბოლო ოცი წუთი მასპინძლებმა ყრუ დაცვაში გაატარეს. 74-ე წუთზე სტუმრებს რეალურად შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, კობა კობალაძის დარტყმის შემდეგ „დილას" მცველებმა გაჭირვებით მოიგერიეს კარში შემავალი ბურთი. მერე ფეხბურთელებს შორის შეხლა-შემოხლაც იყო, მაგრამ ყველაფერი მალე ჩაცხრა...

### პრესკონფერენცია

*გიგლა იმნაძემ* „დილას" პირველი გამარჯვება მიულოცა და გუნდის ერთსულოვნება გამოარჩია, თუმცა, მისი აზრით, „დილას" მოუმზადებლობაც ეტყობა: „ჩვენც ახალგაზრდული გუნდი გვყავს, გამოცდილება გვაკლია, მაგრამ ვეცდებით, მომდევნო ტურებში მოვუმატოთ".

*ვლადიმერ ხაჩიძე:* „ათი დღეა, შევიკრიბეთ და ფიზიკურად მართლა მოუმზადებლები ვართ. ამის ბრალი იყო, მეორე ტაიმი რომ ჩავაგდეთ".

# დოლიძე დააპატიმრეს



**გუშინ** შევიტყვეთ, რომ დააპატიმრეს „თბილისის" ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლოზ დოლიძე. დაზუსტებით ვერ მოგახსენებთ, თუმცა იმას კი ამბობენ, რომ სამართალდამცავები დოლიძეს ნარკოტიკებთან დაკავშირებით ედავებიან და უკვე შეუფარდეს კიდეც წინასწარი სამთვიანი პატიმრობა.

შეგახსენებთ, დოლიძემ „თბილისის" პრეზიდენტის პოსტი დაახლოებით ერთი თვის წინ დატოვა.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს ჩემპიონატი 17 ეროვნული ლიგა
# 1 ტური
## პირველი წრე

ბათუმი. 30 ივლისი. 17.30 საათი. დინამო. 800 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:0 ბორჯომი

1:0 ზირაქიშვილი (48)

**ბათუმი:** თოთლაძე, ექონია, გალოგრე, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, ბესიკ თედორაძე, გ. მანწკავა, ქაცარავა (ცანავა 71), ლ. ჩხაიძე (ზირაქიშვილი 25), დარჩიძე, ფირცხალაიშვილი (დათვაძე 53)
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; მიქაძე, დუმბაძე, გოგიშვილი
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**ბორჯომი:** მამალაძე, ს. ბურნაძე, ბაქრაძე, მემარნიშვილი, მიქიაშვილი (გვირჯიშვილი 75), მესხი, შ. ჯიქია, გაბისკირია, გეწაძე, ქორიძე (რ. ჯიქია 66), აფციაური
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ლ. ჭელიძე, ნასყიდაშვილი, გოგიჩაიშვილი
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**გაფრთხილება:** თოთლაძე (78)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)

**ინსპექტორი:** ს. კვარაცხელია

# ბათუმმა ბორჯომი ხელით დალია?


მურაზ ფილიფაშვილის ფოტო
ზაზა ზირაქიშვილი

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**ჩემპიონატის** სადებიუტო ბათუმური მატჩი, როგორც წესია, სახელმწიფო ჰიმნითა და დროშის აღმართვით დაიწყო.

შეხვედრას ბლომად ბორჯომელი გულშემატკივარი დაესწრო და გამაყრუებელი ყიჟინაც გაისმა.

მატჩიც ბორჯომელთა უპირატესობით დაიწყო. სოსო ფრუიძის გუნდი სწრაფადაც მოძრაობდა და ბურთსაც გააზრებულად აგორებდა, მაგრამ იერიშის ბოლო ფაზაში გვარიანად მოიკოჭლებდა.

ამირან გოგიტიძის შეგირდები კი დასაწყისში ინერტულები იყვნენ, თუმცა მალე გამოცოცხლდნენ და რეალური საფრთხეც შექმნეს ბორჯომელთა კართან — გიორგი მანწკავამ შორიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ზურაბ მამალაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ბესიკ თედორაძის კუთხურს არეულობა მოჰყვა — ბურთი კი, ისე ჩანდა, ბორჯომელ რევაზ გეწაძეს ხელზე მოხვდა, თუმცა ამას მსაჯის სასტვენი არ მოჰყოლია. ისევე, როგორც ბათუმელთა მორიგი შეტევისას, როცა ბორჯომელებმა ხელით ჩაშალეს შეტევა.

ტაიმის ბოლოს ბათუმელთა ახალწვეული, შეცვლაზე შესული ზაზა ზირაქიშვილი აღმოჩნდა მამალაძესთან პირისპირ, მაგრამ ვერ იხეირა. აი, მეორე ნახევრის პირველი შეტევა კი მასპინძლებმა გოლით დააგვირგვინეს — მარცხენა ფლანგიდან მანწკავამ ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა, დარჩიძემ თავით მიმართულება შეუცვალა ბურთს, არეულობაში ზირაქიშვილმა იყოჩაღა და 1:0.

გოლის შემდეგ ღირებული არც ბათუმელებს შეუქმნიათ და არც ბორჯომელებს — ასე დამარცხდა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეული „ბორჯომი" პირველივე ტურში.

### პრესკონფერენცია

*სოსო ფრუიძე:* ისე ნურავინ შეგვხედავს, თითქოს ხელწამოსაკრავი გუნდი ვიყოთ. მატჩი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, გოლი კი ხელით გავიდა. თუმცა ბათუმელებს გარჯას არ ვუკარგავ და გამარჯვებას ვულოცავ.

*ამირან გოგიტიძე:* შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშით კი არა. ამ გამარჯვებას ჩვენთვის დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ქუთაისი. 1 აგვისტო. 17.30 საათი. ტორპედო

## ტორპედო — ამერი

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ასკაროლლი (ქარელი); **ინსპექტორი:** მ. ჭელიძე

თბილისი. 1 აგვისტო. 17.30 საათი. მიხეილ მესხი

## ლოკომოტივი — სიონი

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი; დ. კვეტენაძე (ორივე თბილისი); **ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

# ბადრიამბავი
## ბათუმში დინამოს ვარიანტია


ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

ბათუმში დიდი და კარგი ამბებია. წინა სეზონში ფაქტობრივად დაშლილი და ხელახლა შექმნილი „ბათუმი", დღეს, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული ქართული კლუბია. ამბობენ, „ბათუმის" პატრონობა ბადრი პატარკაციშვილმა ითავაო, თუმც ოფიციალურად ამ ამბავს არავინ ადასტურებს. ის კი ფაქტია, რომ „ბათუმმა" სოლიდური ინსვესტიცია მიიღო და კლუბში ფულის მიმტანმა ბოლნისის რაიონის ყოფილ გამგებელსა და „სიონის" ყოფილ პრეზიდენტს ზურაბ ჯაფარიძეს სთხოვა საფეხბურთო საქმეებში კონსულტაცია. ჯაფარიძემ კი, თავის მხრივ, ფედერაციის ყოფილ მუშაკს, ბადრი ქარქაშაძეს უხმო...

— „ბათუმით" დაინტერესებული ინვესტორი რამდენიმე დღის წინ შემხვდა და საფეხბურთო საქმეებში კონსულტაცია მთხოვა. საწინააღმდეგო, აბა, რა უნდა მქონოდა. ჩათვალეთ, რომ „ბათუმში" უკვე ყველა პრობლემა მოგვარებულია — გვითხრა გუშინ ზურაბ ჯაფარიძემ.

**— ინვესტორი ვინ არის?**

— რა მნიშვნელობა აქვს?!

**— მაინცდამაინც თქვენ რატომ გთხოვათ კონსულტაცია?**

— ნდობის ფაქტორი იყო.

**— ამბობენ, ინვესტორი ბადრი პატარკაციშვილიაო. მართალია?**

— არა, ინვესტორი უცხოელია.

**— უფრო კონკრეტულად ვერ გვეტყვით?**

— იურიდიული საკითხები მოგვარდება და ყველაფერს გაიგებთ. ჯერჯერობით კი გეტყვით, რომ „ბათუმში" იმუშავებს ბადრი ქარქაშაძეც, ის გამოცდილი საფეხბურთო მუშაკია.

**— ახალი ინვესტორი „ბათუმში" რას აპირებს?**

— სერიოზული გუნდის გაკეთებას. როცა გუნდმა ინვესტიციის ნაწილი მიიღო, ახალი ფეხბურთელების განაცხადში შეყვანა უდროობის გამო ვერ მოვახერხეთ. თუმც დავით დათვაძის, გიორგი მიქაძისა და ზაზა ზირაქიშვილის დამატება მაინც შევძელით. პირველი წრის დასრულების შემდეგ კი, თავადაც ნახავთ, „ბათუმი" როგორ გაძლიერდება. სადღეისოდ „ბათუმში" ყველანაირი ფინანსური პრობლემა მოგვარებულია, ნელ-ნელა კი ინვესტიცია ერთი-ორად გაიზრდება.

**— ინვესტორის თხოვნამდე „ბათუმთან" რა კავშირი გქონდათ?**

— ცოლი მყავს ბათუმელი და ამ კლუბის დიდი ქომაგი ვიყავი.

**კობა ინასარიძე**

# ფედერაციას უშიშროება მიადგა
## სიონმა საქმეში ხალხი ჩარია

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციას წინა კვირას უშიშროების სამსახურიდან ესტუმრნენ. დეტალებზე ზუსტად ვერაფერს გეტყვით, თუმც გავიგეთ, რომ ფედერაციაში უშიშროება ბოლნისის „სიონის" ხელმძღვანელობის თხოვნით შევიდა. საქმე ისაა, რომ „სიონს" ფეხბურთელთა დავალიანება ჰქონდა და ვიდრე ეს დავალიანება არ დაიფარებოდა, კლუბს უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება არ მიეცემოდა. თავიდან ფედერაციაში ბოლნისელები იყვნენ, მოგვიანებით კი უშიშროების სამსახურს სთხოვეს საქმეში გარკვევა.

ფედერაციის ყველა თანამშრომელი ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით დუმს. გენერალურ მდივან გრიგოლ ცაავას კომენტარი რომ ვთხოვეთ, გაიკვირვა, რა უშიშროებაო...

საბოლოოდ კი ყველაფერი მოგვარდა — „სიონმა" ფედერაციის მოთხოვნები შეასრულა.

**კობა ინასარიძე**

# ცაიტნოტური კონტრაქტები
## ტორპედომ შალამბერიძე, ჯანაშია და შენგელია მოასწრო

**დღეს,** მე-17 ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ქუთაისის „ტორპედო" თბილისის „ამერს" მასპინძლობს. ქუთათურთა ამბები რომ სასიკეთოდ შემოტრიალდა, გეცოდინებათ. კლუბის ახალი პატრონები, ქუთაისელი და თურქი ბიზნესმენები, გრიგოლ ხურციძე და იბრაგიმ ართვინი სერიოზულ მიზნებს ისახავენ და რა როგორ იქნება, მომავალში გამოჩნდება.


საუეფასთასოდ შემატებული კობა შალამბერიძე (№13) „ტორპედოს" ჩემპიონატშიც დაეხმარება

ქუთათურები ცაიტნოტის გამო საჩემპიონატოდ ვერ გაძლიერდნენ, ოდენ სამ ფეხბურთელთან გააფორმეს კონტრაქტი — კობა შალამბერიძე, დავით ჯანაშია და გიორგი შენგელია ამ სეზონს „ტორპედოში" გაატარებენ.

ჯანაშია და შენგელია კლუბისთვის უცხო ფეხბურთელები სულაც არ არიან — ისინი ამ გუნდში წლების წინაც თამაშობდნენ და საკმაოდ წარმატებითაც. რაც შეეხება შალამბერიძეს, იგი თბილისის „დინამოდან" გადავიდა რიონისპირულ კლუბში და, გეხსომებათ, უეფას თასზეც ითამაშა ბელარუსული ბატეს წინააღმდეგ.

ამბობენ, „ტორპედოში" ფინანსური მდგომარეობა უკვე გამოსწორდა და ხელმძღვანელობა სამომავლოდ უფრო კარგ პირობებსაც ჰპირდება გუნდსო...

**კახა შალამბერიძე**

# ინტერი ფავორიტია
## მილიტო ბრწყინვალე


სპეციალისტთა აზრით, რობერტო მანჩინის გუნდში ნახევარმცველები გამოირჩევიან

**ვალტერ სამუელი „ინტერის" ფეხბურთელად ოფიციალურად წესით დღეს უნდა იქცეს. ამგვარ ინფორმაციას ესპანურ-იტალიური პრესა ავრცელებს. როგორც ამბობენ, მადრიდის „რეალი" არგენტინელში 10,4 მილიონ გირვანქას მიიღებს. ამ თანხას „ნეროაძური" ნაწილ-ნაწილ, ოთხი წლის მანძილზე გადაიხდის. 26 წლის სამუელი კი თავის ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და სეზონში 27 მილიონ გირვანქას მიიღებს, პლუს გარკვეული ბონუსებით**

**რაც შეეხება** ლუიშ ფიგუს, მის ტრანსფერზე შეთანხმებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია. ბოლო ცნობებით, „ინტერი" მზად არის, პორტუგალიელს ორწლიანი კონტრაქტი და სეზონში მილიონი გირვანქა შესთავაზოს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დეტალია მოსაგვარებელი.

თითქმის გადაწყდა ფრანჩესკო კოკოს საკითხი. „ინტერის" ნახევარმცველი ამჟამად ამსტერდამში იმყოფება და „აიაქსთან" კონტრაქტის დეტალებს ათანხმებს.

პარალელურად, „ნეროაძური" თავდასხმელის ძიებასაც აგრძელებს. კანდიდატთა სია ნელ-ნელა იზრდება. მათი რიცხვი უკვე ოთხს შეადგენს — დიეგო მილიტო, ფაბრიციო მიკოლი, მარკო დი ვაიო და ბერნარდო კორადი.

ამ სიაში რობერტო მანჩინის ფავორიტად მილიტოს მიიჩნევენ. შეგახსენებთ, რომ 26 წლის არგენტინელი გასულ სეზონში თავის კლუბ „ჯენოას" 33 გოლით შეეწია და მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. მას ტურინის „იუვენტუსიც" უტრიალებს.

„მილიტო ბრწყინვალე ცენტრალური ფორვარდია. ვფიქრობ, იგი ჩვენ დიდ სარგებელს მოგვიტანდა" — თქვა მანჩინიმ.

როგორც ამბობენ, „ინტერს" ფაბრიციო მიკოლის ხელში ჩაგდება ძალიან უნდა, რაც მიუღწეველი სულაც არ ჩანს.

ყველაზე ბოლოს „ნეროაძურის" სახელს „ვალენსიას" ფორვარდები — დი ვაიო და კორადი დაუკავშირეს. ორივეს ესპანეთის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება სურს. გამორიცხული არ არის, ისინი წყვილად აღმოჩნდნენ „ინტერში", მაგრამ ამ შემთხვევაშიც გარკვეულ პრობლემებთან გვაქვს საქმე.

მთავარი ბარიერი ინტერტოტოს თასია, რომელშიც დი ვაიომ უკვე იბურთავა „ვალენსიას" სახელით და ახლა სხვა კლუბში ევროტურნირებზე თამაშის უფლება აღარ აქვს.

ახლა სატრანსფერო ამბებს მოვწყდეთ და ორიოდ სიტყვა „შავლურჯების" ინგლისურ ტურნეზეც ვთქვათ. „ლესტერისა" და „კრისტალ პალასის" ძლევის შემდეგ, მილანელებმა „ნორვიჩიც" დაამარცხეს 2:0. ისევ გამოიჩინა თავი „ინტერის" ბერძენმა ლეგიონერმა ლამბროს ხუტოსმა. შთამბეჭდავი და შედეგიანი გამოდგა ბრაზილიელი ადრიანოს დაბრუნებაც. ასევე ჩინებულად თამაშობდა ობაფემი მარტინსიც.

აქვე ვთქვათ, რომ „ნეროაძურიმ" ინგლისური ტურნე წუხელ გვიან ღამით, „პორტსმუთთან" მატჩით დაასრულა.

ამასობაში, ლეგენდარული დიეგო მარადონა და ცნობილი სპეციალისტი ალბერტო ძაკერონი მომავალი სერია A-ს ფავორიტად სწორედ რობერტო მანჩინის გუნდს მიიჩნევენ.

„ჩემი აზრით, „ინტერს" ყველაზე დიდი შანსი აქვს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქ ჩემი ბევრი მეგობარი თამაშობს და „ნეროაძურის" ძალიან ბევრ ქომაგს ვიცნობ. თანაც კლუბის მფლობელმა მასიმო მორატიმ ყველაფერი გააკეთა გუნდის წარმატებისთვის. იტალიური ფეხბურთი დღითი დღე იცვლება. სამ გრანდს სხვებთან შედარებით აშკარა უპირატესობა აქვთ. თუმცა ზოგ გუნდს კვლავ შეუძლია გარკვეული ცვლილებების შეტანა, მაგრამ ახლა არა მგონია, ვინმემ ის შეძლოს, რაც ერთ დროს ჩემმა „ნაპოლიმ" მოახერხა — აღნიშნა მარადონამ.

„ყველა უნდა დააკვირდეს „ინტერის" თამაშს. როგორც იქნა, კლუბმა სერიოზული შემადგენლობა შეკრიბა, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში. ძირითადის თითქმის ყველა ფეხბურთელს ესპანურად საუბარი შეუძლია, რაც ასევე პლუსია და ზედმეტ პრობლემებს ხსნის. ასევე გუნდს ჰყავს ისეთი ფენომენი, როგორიც ადრიანოა" — ეს კი ალბერტო ძაკერონის სიტყვებია.

**გიორგი ძაძამიძე**


კარლო ანჩელოტი „მილანში" ახალ სქემებს ამუშავებს

# უფრო ძლიერი მილანი
## კარლოს საჭირო ექსპერიმენტი

**„მილანის"** თავკაცი კარლო ანჩელოტი მთელ წინასასეზონო პერიოდსა და ამხანაგურ მატჩებში ახალ სისტემას (3-5-2) ცდის. სამი მცველით თამაში „როსონერი" არც ისე მიჩვეულია, მაგრამ ექსპერიმენტს თავად მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც დადებითად აფასებენ.

ამ სისტემის დროს მარჯვენა ფლანგზე კაფუს, ხოლო მარცხნივ სერჟინიოს ან კალაძეს მეტი თავისუფლება ეძლევათ. ასევე ერთიორად იზრდება ნახევარმცველების როლი და დატვირთვა, ხოლო თავდამსხმელებს ევალებათ, ცოტა უკან დაიხიონ და შეძლებისდაგვარად დაცვას დაეხმარონ.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგანაც დიდი პოტენციალის გუნდი მყავს. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ახლა ჩვენ გაცილებით ძლიერები ვართ, ვიდრე წინა სეზონებში. რაც შეეხება ჩვენს ამჟამინდელ სისტემას, ექსპერიმენტები და სიახლეები აუცილებელია. ნახევარდაცვაში დაკარგული ბურთისთვის ბრძოლა და სწორი პოზიციის შერჩევა კიდევ უფრო უკეთ უნდა ვისწავლოთ. თანაც ახლა ვიეირისა და ჯილარდინოს სახით ისეთი ფორვარდები შევიმატეთ, რომლებიც უკანა ხაზსაც ეხმარებიან. ამას ემატება ანდრეი შევჩენკო, რომელიც ყველასგან განსხვავდება" — განაცხადა ანჩელოტიმ.

კმაყოფილია მილანის კაპიტანი პაოლო მალდინიც: „ჩემი აზრით, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. 4-4-2-ს ალტერნატივა სჭირდება და ჩვენც სათანადო სისტემას ვეძებთ. საბოლოოდ მაინც ისე ვითამაშებთ, როგორც ყველასთვის მეტნაკლებად მისაღები იქნება, მაგრამ რეზერვში კიდევ რამდენიმე სქემა გვექნება".

ნიუ იორკში ჩასულ „მილანს" კი საკმაოდ თბილი და ხალხმრავალი დახვედრა მოუწყვეს. განსაკუთრებით თინეიჯერები აქტიურობდნენ. ყურადღების ცენტრში მალდინი იყო. „როსონერის" კაპიტანს ეს არ გაჰკვირვებია.

„ამერიკელი ფანების ინტერესითა და ენთუზიაზმით გაოცებული ნამდვილად არ ვარ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ 18-წლამდელ მოზარდებში ყველაზე პოპულარული სპორტი სწორედ ფეხბურთია. შეიძლება ჯერჯერობით პრესა უფრო კალათბურთსა და ბეისბოლს აშუქებს, მაგრამ ფეხბურთისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდება" — აღნიშნა 37 წლის მცველმა.

აქვე ვთქვათ, რომ წუხელ „მილანი" „ჩელსის" კიდევ ერთხელ შეხვდა და იტალიელთა ამერიკული ტურნეც ამით დასრულდა.

**გიორგი ძაძამიძე**

# გვათხოვეთ ბაროში

**რაფაელ ბენიტესის** ათვალწუნებული მილან ბაროში შესაძლოა, გელზენკირხენის „შალკეში" აღმოჩნდეს. 23 წლის ფორვარდს „ლივერპულთან" კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ბუნდესლიგურ კლუბს ბაროშის დროებით, ერთი წლით წაყვანა სურს შემდგომში შეძენის უფლებით.

„შალკეს" მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა განაცხადა: „ფეხბურთელთან და მის აგენტთან პირობები შევათანხმეთ, ხვალიდან კი „ლივერპულთან" დავიწყებთ ვაჭრობას. ჩვენ არ გვაქვს 7 მილიონი გირვანქა, რომელსაც პრემიერლიგური კლუბი ბაროშის სანაცვლოდ ითხოვს, ამიტომ კარგი იქნება, თუ ერთი სეზონით დაგვითმობენ. მილან ბაროში ჩემი მთავარი სამიზნეა. ის ძალიან სწრაფია და საგოლე ალღო აქვს".

„შალკეს" პრეზიდენტმა რუდი ასაუერმა აღნიშნა, მილან ბაროშს თუ გადმოვიყვანთ, ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ტრანსფერი იქნებაო.


მილან ბაროში „შალკემ" მიიწვია

**ვაჟა ხუციშვილი**

# სახიფათო გაფრენა

**შვეიცარიის** დედაქალაქ ბერნში, 32 ათასიანი ახალი სტადიონი, „სტად დე სუისი" გაიხსნა. შვეიცარიელთა გეგმით, იგი შვიდ სხვა სარბიელთან ერთად 2008 წელს ევროპის ჩემპიონატის მატჩებს უმასპინძლებს. მოგეხსენებათ ხსენებული ჩემპიონატის მასპინძელი შვეიცარიის გარდა, ავსტრიაც არის.

ერთი სიტყვით, მზადება გახურებულია და კარგადაც მიდის, მაგრამ საკუთრივ გახსნის ცერემონიალი ცოტა შემაშფოთებელი გამოდგა — კინაღამ ადამიანი ემსხვერპლა.

კერძოდ, აი, რა მოხდა: აკრობატთა წარმოდგენის დროს, ჰელიუმით სავსე დიდი სფერო სამაგრს მოშორდა და ერთ-ერთ მსახიობიანად აფრინდა. შემდეგ სფერო სტადიონის სახურავს შეეჯახა და ახლოს, მანქანათა გამოფენის ტერიტორიაზე დაეშვა თუ დავარდა.

საბედნიეროდ, აკრობატი საშუალო სიმძიმის ტრავმებითა და გვარიანად შეშინებული გამოვიდა სიტუაციიდან, რომლის შედეგი შესაძლოა, გაცილებით მძიმე ყოფილიყო.

**პაატა ძედია**

# კაჭკაჭებში მურია

**ავსტრალიის** ნაკრების მცველი კრეიგ მური „ნიუკასლში" გადავიდა. 29 წლის ავსტრალიელი „კაჭკაჭებს" მუქთად ერგოთ და მასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

„პრემიერლიგის მატჩებს ყოველთვის ვუყურებდი და აქ თამაშზე ვოცნებობდი — თქვა ფეხბურთელმა — ძალიან მიხარია, რომ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ჩემპიონატში ვითამაშებ. ჯერ 29 წლის ვარ და თავს დაბერებულად არ ვგრძნობ".


კრეიგ მური

კრეიგ მური 1998-ში გლაზგოს „რეინჯერსის" ფეხბურთელი გახდა და ხუთი სეზონი „ჩაფრობდა". 2003 წელს, კონტრაქტის დასრულების შემდეგ, ექვსი თვით „კრისტალ პალასში" გადაბარგდა, მერე კი ისევ გლაზგოში დაბრუნდა. ავსტრალიის ნაკრების კაპიტანმა გასულ ზამთარს „რეინჯერსიდან" მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მიაშურა, სადაც დიკ ადვოკაატი მწვრთნელობდა, მაგრამ გასული სეზონის ბოლოს გლადბახიდანაც გაუშვეს, რადგან ერთ-ერთ ვარჯიშზე ნასვამი მისულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბოლო სიტყვა იუვეზეა
## დანარჩენი მოჯის ჰკითხეთ

*„იუვენტუსის" გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი მიიჩნევს, რომ ტურინელები სკუდეტოსთვის ბრძოლაში ისევ ფავორიტები იქნებიან, მიუხედავად იმისა, რომ „მილანიც" და „ინტერიც" მომავალი სეზონის დაწყებამდე საგრძნობლად გაძლიერდნენ. ეს განსაკუთრებით „როსონერის" ეხება, თუმცა მოჯის არც ალბერტო ჯილარდინოს „სან სიროზე" გადასვლა აშინებს*

**„მე არ მიმაჩნია,** რომ „როსონერის" რაიმე უპირატესობა აქვს. „იუვენტუსს" „მილანსა" და „ინტერს" სკუდეტოს მოგების დაახლოებით თანაბარი შანსები აქვთ. რაც შეეხება ჯილარდინოს, იგი ჩინებული ფეხბურთელია და კარლო ანჩელოტის გუნდს უდავოდ გააძლიერებს, თუმცა ჩვენ მის შესაძენად არ გაგვიბრძოლია, რადგანაც ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ადრიან მუტუ, ალესანდრო დელ პიერო, დავიდ ტრეზეგე და მარსელო ზალაიეტა გვყავს. არა მგონია, ალბერტო ჩვენ ფორვარდებზე რამით უკეთესი იყოს. „იუვენტუსის" ერთ-ერთი მთავარი მიზანი შემადგენლობის არევისა და გადატვირთვის თავიდან აცილებაა" — თქვა მოჯიმ.

ამის მერე „იუვეს" გენერალური მენეჯერი ფაბრიციო მიკოლის თემაზე გადაერთო, რომელიც „დელე ალპის" ალბათ მალე დატოვებს. საუბარი კი ისევ მომავალ სეზონზე გაკეთებული პროგნოზებით დაასრულა.

ლუჩანო მოჯი: „მიკოლის სეზონში დაახლოებით 13-15 გოლი გააქვს, თანაც ძალიან ახალგაზრდაა. მისი დარი ფორვარდები ბევრნი ნამდვილად არ არიან. შესაბამისად, ინტერესიც მაღალია, მაგრამ რა მოხდება, ჯერ არ ვიცი. როგორც უკვე ვთქვი, მომავალ სერია A-ში პირველ სამ ადგილს ალბათ ჩვენ და მილანური კლუბები გავინაწილებთ. მეოთხე პოზიციისთვის „პალერმო" და „სამპდორია" იბრძოლებენ. იქვე იქნება „უდინეზეც". რაც შეეხება „რომას", სატრანსფერო ემბარგო კლუბს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის. თუმცა ჩვენ დედაქალაქელებს წარმატებებს ვუსურვებთ. მათ პრეზიდენტთან ფრანკო სენსისთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ყველა უთანხმოება წარსულში დარჩა".

ამბობენ, მიკოლი „ინტერში" გადავა, ხოლო სანაცვლოდ ტურინელები ალესიო ტაკინარდის შემცვლელად კრისტიანო ძანეტის დაიმატებენო, თუმცა „იუვეს" ხელმძღვანელობა ამტკიცებს, ნახევარდაცვაში ყველაფერი რიგზე გვაქვს და ძანეტი ნამდვილად არ გვჭირდებაო.

რახან ტაკინარდი ვახსენეთ, აღვნიშნოთ, რომ 30 წლის ფეხბურთელი „ვილიარეალში" არენდის წესით გადასულა. მომავალ ზაფხულს იგი შესაძლოა, „დელე ალპიზე" დაბრუნდეს კიდეც. „იუვესთან" მის მოქმედ კონტრაქტს ვადა 2009 წელს გასდის.

„ბებერი ქალბატონის" დაცვის ერთ-ერთი ბურჯი ფაბიო კანავარო კი რამდენიმე ახალ ფეხბურთელს ითხოვს, თუმცა ამის გარეშეც თვლის, რომ „იუვეს" უკანა ხაზი ისევ საიმედო იქნება.

„საშიში არაფერია. სერია A-ში კვლავ ყველაზე ძლიერი დაცვა გვეყოლება და ამას ევროთასებზეც დავამტკიცებთ. თუმცა დღევანდელ ფეხბურთში ყველა პოზიციაზე მინიმუმ ორი მაღალი კლასის მოთამაშეა საჭირო და ამიტომ ერთი-ორი მცველის დამატება არ გვაწყენდა. ვინ შეიძლება იყოს ეს, არ ვიცი. აჯობებს, ლუჩანო მოჯის ჰკითხეთ. ჩვენ მას ბოლომდე ვენდობით" — განმარტა 31 წლის კანავარომ.

„სკუადრა აძურას" კაპიტანმა „იუვეს" ახალწვეულ რობერტ კოვაჩზეც ისაუბრა: „იგი მაღალი კლასის გამოცდილი მოთამაშეა, ვფიქრობ, ამ ხანგრძლივ და დატვირთულ სეზონში ძალიან დაგვეხმარება. რობერტი გერმანული სტილის, ძალიან კონცენტრირებული მცველია და გადაწყვეტილებას სხარტად იღებს".

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს „დელე ალპი" სამმა მცველმა დატოვა — ნიკოლა ლეგროტალიე ისევ გაანათხოვრეს, ჩირო ფერარამ კარიერა დაასრულა, ხოლო პაოლო მონტეროს კონტრაქტს ვადა გაუვიდა და მხარეებმა იგი აღარ გაახანგრძლივეს.

როგორც იცით, მთავარი პრობლემა ტურინელებს მარჯვენა ფლანგზე აქვთ, სადაც ჯონათან ძებინას შემცვლელი, ფაქტობრივად, არ ჰყავს. უკვე იმაზეც ალაპარაკდნენ, „იუვენტუსი" მომავალ კაფუდ შერაცხული სისინიოსთვის ბრძოლაში ჩაერთვება და „სან პაულუს" მცველს „მილანს" ცხვირწინ ააცლისო. თუმცა ეს ცოტა შორეული და საეჭვო პერსპექტივაა.

ამჟამად კი კანდიდატი ორია — მასიმო ოდო და ლუიშ მიგელი. ორივე მათგანს „ბებერი ქალბატონი" დიდი ხანია, უტრიალებს, მაგრამ ტრანსფერს საშველი აღარ დაადგა. ამ ეტაპზე წინა პლანზე მიგელის ვარიანტმა წამოიწია.

გავრცელებული ცნობით, „ბენფიკა" თანახმაა, 25 წლის მცველი დათმოს, თუ გარკვეულ თანხასთან ერთად მარსელო ზალაიეტას მიიღებს. ამ ვარიანტის საწინააღმდეგო სავარაუდოდ, არაფერი ექნება ურუგვაელ ფორვარდს, რომლის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსები კიდევ უფრო შემცირდა. ზალაიეტამ ცოტა ხნის წინ თავადაც სთხოვა კლუბის უფროსობას, ტრანსფერზე დამაყენეთო, თუმც საბოლოო სიტყვა „იუვენტუსზეა"...

**გიორგი ქაქაბაძე**



ლუჩანო მოჯის გარშემო დღევანდელი „იუვენტუსი" წარმოუდგენელია



ფრანჩესკო ტოტიმ დაიქადნა „რომა" ჩემპიონობისთვის იბრძოლებსო

# რომა ისტიბარს არ იტეხს

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაცია დანაპირებს ასრულებს და სატრანსფერო ემბარგოს მქონე „რომას" გარკვეულ დახმარებას უწევს. მისი გადაწყვეტილებით, ჩეზარე ბოვოსა და ჯანლუკა კურჩის კონტრაქტები სრულ წესრიგშია და წესების დაცვით არის გაფორმებული, შესაბამისად, ეს ფეხბურთელები მომავალ სეზონში „ჯალოროსის" ღირსებას დაიცავენ.

სამუელ კუფურის, როდრიგო ტადეისა და შაბანი ნონდას საკითხი კი ისევ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სავარაუდოდ, მათ „სტადიო ოლიმპიკოზე" თამაშის უფლებას არ მისცემენ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

თავისას არ იშლის დედაქალაქელთა კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი და კვლავ ირწმუნება, რომას" სკუდეტოს მოგება შეუძლიაო.

„სკუდეტოსთვის მხოლოდ „მილანი" და „იუვენტუსი" არ იბრძოლებენ. ასევე საკმაოდ ძლიერია „ინტერი" და „რომაც". ჩვენ გვაქვს ამის ძალა და იმედია, მომავალი სეზონი პირადად ჩემთვისაც და კლუბისთვისაც წარმატებული იქნება. თანაც 2006 წლის მუნდიალი დამატებით სტიმულს გვაძლევს" — თქვა ტოტიმ.

რომაელთა მე-10 ნომერს მხარი გუნდის არგენტინელმა ლეგიონერმა ლეანდრო კუფრემაც აუბა: „ნამდვილად სწორ გზას ვადგავართ, დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობთ და თუ ასე გაგრძელდა, შედეგიც აუცილებლად გვექნება. წინა სეზონთან შედარებით, ბევრი რამ შეიცვალა, თანაც სასიკეთოდ. მჯერა, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვიძლია".

**გიორგი ქაქაბაძე**

## პოლონეთი

### I ლიგა. II ტური

ლეხი — არკა 1:1; კორონა — ოდრა 0:1; გურნიკი — გროცლინი 0:0; პოლონია — პლოცკი 0:1; ვისლა — ბელხატოვი 3:0; ზაგლებე — პოგონი 1:1; ლეჩნა — ლეგია 0:0; კრაკოვია — ამიკა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| პოგონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კრაკოვია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ოდრა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| პოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| პლოცკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| არკა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ლეჩნა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ზაგლებე | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ლეგია | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| გურნიკი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| გროცლინი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლეხი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კორონა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბელხატოვი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ამიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. IV ტური

ავსტრია — რიდი 2:0; ტიროლი — ადმირა 1:0; გრაცერი — მატერსბურგი 1:0; ზალცბურგი — რაპიდი 0:2; პაშინგი — შტურმი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 4 | 4 | 0 | 0 | 9:4 | 12 |
| რაპიდი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| გრაცერი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| შტურმი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| რიდი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| ტიროლი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | 5 |
| პაშინგი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| ზალცბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| მატერსბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |
| ადმირა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | 0 |

### I დივიზიონი. IV ტური

ავსტრია (ლ) — კუფშტაინი 5:0; ავსტრია (მ) — ალტახი 3:1; გრატკორნი — კერნტენი 1:0; ლინცერი — შვაინშტადტი 0:0; ლუსტენაუ — კაპფენბერგი 4:0

## ხორვატია

### ნაციონალ ლიგა. II ტური

ინტერი — პულა 2:0; სლავენი — კამენი 1:1; ოსიეკი — დინამო 1:2; რიეკა — ციბალია 4:1; ვარტექსი — მედიმურიე 3:2; ჰაიდუკი — ზაგრები 3:1

## შვეიცარია

### სუპერლიგა. III ტური

ქსამაქსი — ივერდონი 4:2; ბაზელი — ციურიხი 2:1; გრასჰოპერი — შაფჰაუზენი 1:1; სენტ გალენი — თუნი 5:1. იანგ ბოისი — აარაუ გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:5 | 6 |
| იანგ ბოისი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ციურიხი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| თუნი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ბაზელი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| ქსამაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| გრასჰოპერი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| შაფჰაუზენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| აარაუ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |
| ივერდონი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

### ჩელენჯლიგა. III ტური

ბადენი — ვინტერთური 0:0; ვოლენი — ვილი 1:2; იუვენტუსი — შო დე ფონი 2:2; კიასო — ლუგანო 0:2; კრინსი — კონკორდია 4:1; ლოზანა — ლუცერნი 4:1; ლოკარნო — მეირინი 1:0; ბოლმი — ბელინცონა 2:0; ვადუცი — სიონი 0:0

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. I ტური

ლევერკუზენი (მ) — ქემნიცი 2:3; დიუსელდორფი — ოსნაბრიუკი 1:2; ვერდერი (მ) — ზანკტ პაული 0:1; კიკერს ემდენი — ესენი 0:3; ობერჰაუზენი — კილი 0:1; ერფურტი — კიოლნი (მ) 4:3; ლიუბეკი — ვატენშაიდი 4:0; ვუპერტალი — კარლ ცაისი 1:3; ჰერტა (მ) — მიუნსტერი 1:0

## ბელგია

### სუპერთასის ფინალი

ბრიუგე 1:1დ.დ.(პენ.4:2, 1:1) ბეერსხოტი
1:0 ბალაბანი (36), 1:1 მესუდი (60)

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. I ტური

რეაკი — მტკ 1:2; ტატაბანია — ლომბარდ პაპა 1:1; დებრეცენი — ზალაეგერსეგი 2:1; პეჩი — კაპოშვარი 2:1; შოპრონი — ჰონვედი 1:1; ვაშაში — დიოშ ეტო 1:2; დიოშდიორი — უიპეშტი 0:1; ფერენცვაროში — ვიდეოტონი 0:1

# ბონავენტურე კრუპის მიუფურთხებია

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. 1 ტური**

**სტრასბური 0:0 ოსერი**

**ლილი 1:0 რენი**

1:0 მაკუნი (38)

**ნანსი 0:1 მონაკო**

0:1 კაპო (69)

**ნანტი 2:0 ლანსი**

1:0 იაპი-იაპო (3), 2:0 გლომბარი (7)

**ნიცა 1:1 ტრუა**

1:0 ვაირუა (34), 1:1 დალე (50)

**სენტ ეტიენი 0:0 აიაჩო**

**სოშო 0:1 ტულუზი**

0:1 სანტოსი (15)

**მარსელი 0:2 ბორდო**

0:1 ფობერი (16), 0:2 დუკასი (87)

**პსჟ 4:1 მეცი**

1:0 ბ. კალუ (5), 2:0 ე. სისე (38), 3:0 როტენი (48), 3:1 ანი (68), 4:1 ლანდრინი (80)

**ლე მანი 1:2 ლიონი**

0:1 ვილტორდი (36), 1:1 მელო (56), 1:2 კარეუ (58)

**ბონავენტურე კალუმ**, რომელიც პსჟ-მ ამ ზაფხულს „ოსერიდან" შეიძინა, სადებიუტო მატჩში ციბრუტივით იბზრიალა: სამი საგოლე პასი მიითვალა და ერთიც თვითონ გაიტანა. მეხუთე წუთზე როტენის ჩაწოდებულ ბურთს კალუმ თავი ჰკრა და ანგარიში გახსნა, მერე ედუარდ სისეს გაატანინა, შესვენების შემდეგ კი როტენს ვალი დაუბრუნა და ყოფილმა მონაკოელმა სხვაობა სამამდე გაზარდა.

„მეცის" სამხრეთკორეელმა ლეგიონერმა, იუნგ-ჰვან ანმა ერთის გაქვითვა მოახერხა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა კრისტოფ ლანდრინმა, კვლავ კალუს პასით, თავური დარტყმით მეცელებს მეოთხე გოლი მიართვა.

ჟან ფერნანდესმა „მარსელი" სამი ფორვარდით გაიყვანა „ბორდოს" წინაალმდეგ, თუმც ამით ვერ იხეირა. ჟირონდელთაგან კარგად ითამაშა ჟან-კლოდ დარშევილმა და ორი საგოლე პასი ჩაიწერა. ჟულიენ ფობერმა „ბორდო" მეთხუთმეტე წუთზე დააწინაურა, მისი დარტყმული ბურთი გზად აბდულაიე მეიტეს შეეხო და გეზნაცვალი შევარდა კარასოს კარში. მეორე ტაიმში ფერნანდესმა პერუელი მეგოლე ანდრეს მენდოსა შეუშვა სამირ ნასრის ნაცვლად, მაგრამ ფრედერიკ დეუს გაძევებამ „მარსელის" მწვრთნელის გეგმა გადააყირავა. დეუმ მარუან შამახი წააქცია, რომელიც კარასოსთან პირისპირ გადიოდა. თამაშის მიწურულს „ბორდოს" ყმაწვილკაცმა პიერ დუკასიმ დარშევილის პასით პირველი ბორდოული გოლი გაიფორმა.

ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ელიტარულ დივიზიონში დაბრუნდებულმა „ნანსიმ" „მონაკოსთან" შინ წააგო. მონაკოელმა ოლივიე კაპომ სადავო გოლი გაიტანა. მასპინძლები მსაჯს უმტკიცებდნენ, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთაო, მაგრამ მთავარმა არბიტრმა გვერდითთან ბჭობის შედეგად ხაზის გადაკვეთა დაადასტურა. გამწარებულმა ნანსელმა ფორვარდმა კრუპიმ ისლა მოახერხა, რომ თამაშის მიწურულს სტუმარ სებასტიან სკილაჩის სახეში მიაფურთხა, რისთვისაც გააძევეს. შეხვედრის ბოლო წუთზე, უხეშობისთვის, კრუპის გზას შრეტიენიც გაუყენეს.

„ნანტის" მეკარე მიკაელ ლანდროსთვის „ლანსთან" მატჩი პირველ დივიზიონში მესამასე გამოდგა და იუბილეზე მოგებით გაიხარა. ნანტელებმა საქმე შვიდ წუთში მოამთავრეს — იაპი-იაპომ და ლუიჯი გლომბარმა შარლ იტანჟეს ერთიმეორის მიყოლებით გაუტანეს.

„სოშოს" ფორვარდი, ტუნისელი სანტოსი კი ამ ზაფხულს „ტულუზში" გადავიდა და ყოფილ გუნდს პირველივე მატჩში გოლით „ასიამოვნა".

**მაშა ხუციშვილი**

**II დივიზიონი. 1 ტური**

**ამიენი — გრენობლი 3:0; ბრესტი — გენიონი 0:0; შატორუ — ბასტია 1:1; კლერმონი — სეტე 0:0; კრეტეი — კაენი 3:2; ლავალი — ისტრი 0:1; მონპელიე — ლე ავრი 2:1; რეიმსი — ლორიანი 1:2; ვალანსიენი — დიჟონი 2:1**

***გენგამი — სედანი დღეს გაიმართება***



მარსელელი სერხიო კონტრერასისა და ბორდოელი კოჟო აფუნუს თავბრუთი

# აქეთ მარშალი, იქით მარშალი სელტიკი გოლებით გაიბერა

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. 1 ტური**

**დანდი იუნ. 1:1 აბერდინი**

1:0 მილერი (7), 1:1 ნიკოლსონი (48)

**ფოლკირკი 0:2 ინვერნესი**

0:1, 0:2 ბრიუსტერი (57, 82)

**ჰიბერნიანი 1:1 დანფერმლაინი**

0:1 შილდსი (12), 1:1 ოკონორი (74)

**კილმარნოკი 2:4 ჰართსი**

1:0 ნეისმიტი (12), 1:1 სკაჩელ: (13), 1:2 ბედნარი (46), 1:3 მიკალაიუნასი (61), 2:3 გრირი (74), 2:4 ჰარტლი (89პ)

**მოზერუელი 4:4 სელტიკი**

0:1 ჰართსონი (14), 1:1 კერი (20), 1:2, 1:3 ჰართსონი (32, 44პ), 2:3 ჰამილტონი (58), 3:3 მაკდონალდი (60), 4:3 კინინბარგი (84), 4:4 კ. ბიტი (90)

**რეინჯერსი 3:0 ლივინგსტონი**

1:0 პრსო (23), 2:0 პიერ-ფანფანი (53), 3:0 ლოვენკრანდსი (90)

**გლაზგოს** „სელტიკს" 1991 წლის შემდეგ ზედიზედ ორ მატჩში ცხრა გოლი არ გაეშვა და ახალმა მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა ეს ახლა „მოახერხა".

გასულ კვირაში, სლოვაკურ „პეტრჟალკასთან" 0:5 მარცხს ჩემპიონატის პირველივე ტურში „მოზერუელთან" 4:4 მოჰყვა. აშკარაა, რომ „სელტიკის" დაცვაში გვარიანი ღრიჭოები გაჩნდა და სტრაჩანს ჯერჯერობით მათი „ამოვსება" უჭირს.

გლაზგოელთა კარში 20 წლის დევიდ მარშალი იდგა, „მოზერუელის" კარში კი — 41 წლის გორდონ მარშალი და ორივეს ოთხოთხი ბურთი გაუტანეს.

„სელტიკის" ფორვარდმა ჯონ ჰარტსონმა მეთოთხმეტე წუთზე თავურით ანგარიში გახსნა, მაგრამ კერმა მალევე გაათანაბრა. ჰართსონმა ძია მარშალს კიდევ ორჯერ გამოატანინა ბურთი კარიდან და ტაიმი „სელტიკმა" მშვიდად ჩაამთავრა, მაგრამ შესვენების შემდეგ პატარა მარშალსაც ადინეს ოფლი — ჯერ ჰამილტონმა შეაგდო თავურით, მერე კი მატჩის ყველაზე დაბალმა კაცმა მაკდონალდმაც გაათანაბრა; გლაზგოელთა მეკარე ხოლო კინინბურგმა „მოზერუელი" დააწინაურა. ამას მოჰყვა მასპინძელ ქომაგთა სიმღერა „ჩვენ ხუთი გვინდა", მაგრამ შეცვლაზე შესულმა კრეგ ბიტიმ „სელტიკი" მარცხისგან იხსნა.

ჩემპიონმა „რეინჯერსმა" სეზონი ჩემპიონურად დაიწყო — ალექს მაკლიშის ბიჭებმა „ლივინგსტონი" ისტუმრეს და დადო პრსოს, ჟოზე პიერ-ფანფანისა და პიტერ ლოვენკრანდსის გოლებით 3:0 დაამარცხეს. მაკლიში არც ამჯერად ენდო საქართველოს ნაკრების მცველ ზურაბ ხიზანიშვილს, თამაშს ვინლა ჩივის, გლაზგოელთა მწვრთნელმა ზურა მატჩის 18-კაციან განაცხადშიც კი არ შეიყვანა.

**მაშა ხუციშვილი**

**ლიგის თასი. 1 ეტაპი**

**არბროთი — სტრანრარი 1:3; ეარი — სტირლინგი 0:1დ.დ.(0:0); ბრეჩინი — კლაიდი 3:2დ.დ.(2:2); ისტ ფაიფი — სტენჰაუზმური 0:4; მორტონი — გრეტნა 3:2დ.დ.(1:1); პარტიკი — კოუდენბითი 2:0; პიტერჰედი — ბერვიკი 1:2დ.დ.(1:1); ქუინი — როვერსი 4:0; ქუინზ პარკი — ჰამილტონი 0:3; რეითი — ელგინი 3:1დ.დ.(1:1); როსი — მონტროუზი 2:1; სენტ ჯონსტონი — ალოა 2:0; სენტ მირენი — ფორფარი 1:0დ.დ.(0:0); დანდი — ისტ სტირლინგი 2:0**



სტილიან პეტროვის (ბურთით) „სელტიკმა" სეზონი ცუდად დაიწყო

# ჩვენ ჩემპიონები ჯერ არ ვართ დემეტრაძემ რა ჰქმნა

## რუსეთი

**პრემიერლიგა. XVIII ტური**

**ტერეკი 0:0 ზენიტი**

**ლოკომოტივი 3:2 ცსკა**

1:0 ხოხლოვი (14), 1:1 ა. ბერეზუცკი (17), 2:1 სიჩოვი (41), 2:2 ოლიჩი (59), 3:2 პაშინინი (90)

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ბიკეი (მამინოვი 55), ფ. ლიმა, პაშინინი, სენიკოვი, **ასათიანი**, სამედოვი (ომელიანჩუკი 72), გურენკო, სიჩოვი (ევსეევი 90), ხოხლოვი, ბილიალეტდინოვი

**რუბინი 1:1 მოსკვა**

0:1 კუზმინი (84), 1:1 ბაირამოვი (88)

**რუბინი:** ხარჩიკი, ფიოდოროვი, სკოტი, **სალუქვაძე**, კალისტო, აიუპოვი, დომინგესი (სიბაია 63), კონოვალოვი, სილა, ასტაფიევსი (ჩიჟეკი 71), რალფი (ბაირამოვი 77)

**ამკარი 0:0 სპარტაკი**

**როსტოვი 0:0 სატურნი**

**როსტოვი:** ბაგი, ორლოვი, ოლენიკოვი, გუტიერესი, შირშოვი, ჰენდრიქსი (პერესი 67), ბოჩკოვი (**ხოჯავა** 74), ოსინოვი, ზვანე (აკოპიანცი 77), ბუზნიკინი, **აშვეთია**

**ტომი 4:2 კრილია**

1:0 კლიმოვი (4), 1:1 გუსინი (44), 2:1 მედვედევი (47), 2:2 გუსინი (79პ), 3:2 კატინსუსი (83), 4:2 კლიმოვი (90)

**შინიკი 2:1 დინამო**

0:1 დერლეი სილვა (26), 1:1 პოგრებნიაკი (75), 2:1 ბალტიევი (87პ)

**ალანია 2:2 ტორპედო**

1:0, 2:0 **დემეტრაძე** (5, 11), 2:1 ლაიზანსი (54), 2:2 პანოვი (90)

**ალანია:** რადიჩი, აგაევი, ოკოროწკვო, ჟუტაუტასი, გრუიჩი, **ბურდული**, **დარასელია**, გ. ბაზაევი (**კვირკველია** 58), ჯ. ბაზაევი (კ. ტუდორი 69), **დემეტრაძე**, დადუ (კრისტოფერი 46)

გაძევება: **დარასელია** (60)



დმიტრი სიჩოვი

**მოსკოვის** „ლოკომოტივმა" ბოლო წუთზე პაშინინის გატანილი გოლით სძლია ცსკა-ს და წაუგებელ მატჩთა სერია 27-მდე გაზარდა. ახლა რკინიგზელთა გუნდი უახლოეს მდევარ „ზენიტს" თერთმეტი ქულით გაექცა, ლიდერთა მწვრთნელმა ვლადიმირ ეშტრეკოვმა კი ნამატჩევს განაცხადა: „ჩემპიონატის დასრულებამდე ათი ტური დარჩა, ამიტომ ნაადრევია საუბარი იმაზე, რომ უკვე ყველაფერი გაირკვა. ცსკა-სთან ძალიან გაგვიჭირდა, რადგან სკოპიედან ორი დღის წინ ჩამოვფრინდით. მადლობელი ვარ ბიჭების, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და საშინელ სიცხეში საუცხოოდ ითამაშეს."

თამაში ნამდვილად სანახაობრივი და ტემპიანი გამოვიდა. სერგეი ოვჩინიკოვმა მატჩამდე ბევრი გოლი იწინასწარმეტყველა და გამოიცნო, ოღონდ ხუთიდან ორი მის კარში გავიდა. „ლოკომოტივს" ამ სეზონში ერთ მატჩში ორი გოლი აქამდე არ გაეშვა.

ცსკა-ს ხორვატ ფორვარდ ივიცა ოლიჩს პირველსავე წუთზე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ დმიტრი სენიკოვმა იყოჩაღა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. მერე ალექსეი ბერეზუცკის თავური ოდნავ ასცდა ოვჩინიკოვის კარს.

გამოხდა ხანი და მალხაზ ასათიანის პასით სიჩოვი აკინფეევთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მეკარეს ძალიან მიუახლოვდა და ბურთი თავზე ვერ გადაავლო. „ლოკომოტივის" მომდევნო შეტევა ხოხლოვმა გოლით დაასრულა, რომელიც ალექსეი ბერეზუცკის გასცდა და აკინფეევს დაბალ კუთხეში გაუტანა. სამი წუთის შემდეგ ბერეზუცკიმ მეტოქეს სამაგიერო მიუზღო, ხოხლოვს ნახტომში აჯობა და თავური დარტყმით გაათანაბრა.

პირველი ტაიმის მიწურულს ლიმა-ბილიალეტდინოვი-სიჩოვის კომბინაცია საგოლე გამოდგა და რუსეთა ნაკრების ფორვარდმაც ზედიზედ მესამე მატჩში გაიტანა.

შესვენების შემდეგ ივიცა ოლიჩმა გაქვითა, ცსკა-მ კი კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი გაანიავა. ბოლო წუთზე სიჩოვის ნაკუთხურალ ბურთს პაშინინმა თავი შეაგება და „ლოკომოტივმა" მთავარ კონკურენტთან სამი ქულა აიღო.

მიჯრით მეექვსე ტურია, მოსკოვის „სპარტაკს არ მოუგია — ალექსანდრს სტარკოვსის სკამი უკვე ყანყალებს და მალე ალბათ წააქცევა. „სპარტაკს" პერმში მასპინძლებმა ხელოვნური საფარი „გაუშალეს". რუსეთის წყალწაღებული მოედნების პრობლემა „ცრუბალახას" უნდა მოეგვარებინა, მაგრამ პერმელებს დრენაჟი არ უკეთებიათ და წვიმამ გუბეები დააყენა. ასე ჭყაპაჭყუპში გაილია მთელი მატჩი, რომელიც უგოლოდ დასრულდა.

ყაზანში „რუბინმა" მოსკოველები დააკომპლექსა. დედაქალაქის გუნდებმა თათრეთში ამ სეზონში ერთი მატჩიც ვერ მოიგეს და ნავსი მოსკოვის „დინამომაც" ვერ გატეხა.

რუსულ პრემიერლიგაში დაბრუნებულმა გიორგი დემეტრაძემ კი პირველივე მატჩში გამოიჩინა თავი, „დემემ" მოსკოვის „ტორპედოს" წყვილად შეუგდო, მისმა „ალანიამ" კი თამაში მაინც ვერ მოიგო, ბოლო წუთზე ტორპედოელმა პანოვმა გაათანაბრა.

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 20 | 12 | 8 | 0 | 30:6 | 44 |
| ზენიტი | 19 | 9 | 6 | 4 | 30:17 | 33 |
| ცსკა | 17 | 9 | 4 | 4 | 27:10 | 31 |
| რუბინი | 18 | 7 | 8 | 3 | 20:16 | 29 |
| სპარტაკი | 18 | 7 | 6 | 5 | 27:19 | 27 |
| მოსკვა | 17 | 7 | 6 | 4 | 18:10 | 27 |
| ტორპედო | 18 | 5 | 8 | 5 | 20:17 | 23 |
| შინიკი | 18 | 5 | 8 | 5 | 14:16 | 23 |
| დინამო | 18 | 7 | 1 | 10 | 20:29 | 22 |
| სატურნი | 18 | 5 | 6 | 7 | 13:13 | 21 |
| ამკარი | 18 | 3 | 11 | 4 | 14:21 | 20 |
| ტომი | 18 | 4 | 7 | 7 | 13:19 | 19 |
| კრილია | 19 | 4 | 7 | 8 | 17:27 | 19 |
| ალანია | 18 | 4 | 6 | 8 | 15:27 | 18 |
| ტერეკი | 18 | 4 | 4 | 10 | 10:25 | 16 |
| როსტოვი | 18 | 2 | 6 | 10 | 10:26 | 12 |

# ამხანაგური მატჩები

29 ივლისი

ეგვიპტე 5:0 ხატარი

საამიროები 1:1 ქუვეითი

მიონხენგლადბახი (გერმანია) 0:0 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)

სპორტინგი (პორტუგალია) 4:0 მიდლსბრო (ინგლისი)

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 0:2 პორტუ (პორტუგალია)

აიაქსი (ჰოლანდია) 0:1 არსენალი (ინგლისი)

კაშიმა ანთლერსი (იაპონია) 1:2 მანჩესტერი (ინგლისი)

გამბა ოსაკა (იაპონია) 0:3 ფიორენტინა (იტალია)

ბეტისი (ესპანეთი) 1:2 სეტუბალი (პორტუგალია)

ტაილანდი 0:3 რეალი (ესპანეთი)

ჰარტლპული (ინგლისი) 0:4 ნიუკასლი (ინგლისი)

იფსვიჩი (ინგლისი) 1:2 ატლეტიკო (ესპანეთი)

ნორვიჩი (ინგლისი) 0:2 ინტერი (იტალია)

30 ივლისი

ურავა რედსი (იაპონია) 0:2 მანჩესტერი (ინგლისი)

ფენერბაჰჩე (თურქეთი) 5:0 ევერტონი (ინგლისი)

რომა (იტალია) 2:1 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

კალიარი (იტალია) 2:1 კრემონეზე (იტალია)

კალიარი (იტალია) 2:0 მერანო (იტალია)

კრემონეზე (იტალია) 3:0 მერანო (იტალია)

იოკოჰამა მარინოსი (იაპონია) 1:1 ბარსელონა (ესპანეთი)

ჯუბილო ივატა (იაპონია) 1:3 ბაიერნი (გერმანია)

ჰანზა (გერმანია) 0:2 ვერდერი (გერმანია)

კრისტალ პალასი (ინგლისი) 0:1 ვესტ ჰემი (ინგლისი)

რედინგი (ინგლისი) 0:2 ტოტენჰემი (ინგლისი)

ქუინზ პარკი (ინგლისი) 2:1 ბირმინგემი (ინგლისი)

უოტფორდი (ინგლისი) 1:2 ჩარლტონი (ინგლისი)

სტოკ სიტი (ინგლსი) 1:2 მანჩესტერ სიტი (ინგლისი)

პლიმუთი (ინგლისი) 0:0 ოფკ (სერბეთი)

საუთჰემპტონი (ინგლისი) 3:2 ანდერლეხტი (ბელგია)

არმინია (გერმანია) 1:0 ჰერენვენი (ინგლისი)

ანკარასფორი (თურქეთი) 1:0 ძონიასფორი (თურქეთი)

ბოხუმი (გერმანია) 4:0 ნაიმეგენი (ჰოლანდია)

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 2:1 სლავია (ჩეხეთი)

გენჩლერბირლიგი (თურქეთი) 3:4 ანკარაგიუჯიუ (თურქეთი)

ტვენტე (ჰოლანდია) 1:1 ჰანოვერი (გერმანია)

ემპოლი (იტალია) 2:0 მესეზე (იტალია)

სამპდორია (იტალია) 1:0 ვერონა (იტალია)

კიოევო (იტალია) 4:0 ბასანო (იტალია)

ჰიროშიმა (იაპონია) 0:1 ფიორენტინა (იტალია)

ბოლონია (იტალია) 2:2 ფორლი (იტალია)

ჰალი (ინგლისი) 1:0 ბოლტონი (ინგლისი)

ვულვერჰემპტონი (ინგლსი) 2:1 ასტონ ვილა (ინგლისი)

სუონსი (ინგლისი) 1:4 ბლეკბერნი (ინგლისი)

შეფილდ იუნ. (ინგლისი) 1:0 სანდერლენდი (ინგლისი)

მაკლსფილდი (ინგლისი) 0:4 უიგანი (ინგლისი)

ტორინო (იტალია) 7:1 ბავენეზე (იტალია)

ლივორნო (იტალია) 0:0 ლიბერტი (იტალია)

31 ივლისი

ლაციო (იტალია) 4:0 პანიონიოსი (საბერძნეთი)

პალერმო (იტალია) 1:0 პაოკ (საბერძნეთი)

უდინეზე (იტალია) 1:0 შტუტგარტი (გერმანია)

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 3:0 ჰერტა (გერმანია)

პორტსმუთი (ინგლისი) 0:2 ინტერი (იტალია)

არსენალი (ინგლისი) 2:1 პორტუ (პორტუგალია)

აიაქსი (ჰოლანდია) 0:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

მილანი (იტალია) 1:1 ჩელსი (ინგლისი)

## 2005 წლის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის წილისყრა

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| სან პაულუ (ბრაზილია) | ლივერპული (ინგლისი) |
| აზიის ჩემპიონი | სიდნეი (ავსტრალია) |
| აფრიკის ჩემპიონი | დეპორტივო საპრისა (კოსტა რიკა) |

## 2005 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

ფინალი

საფრანგეთი 3:1 ინგლისი

0:1 ჰოლმსი (42), 1:1 შაკური (56), 2:1 ა. ბალდე (76), 3:1 გუფრანი (88)

## სლოვაკეთი

I ლიგა. III ტური

ტრენჩინი — ინტერი 2:0; ბანსკა ბისტრიცა — ტრნავა 0:1; პეტრჟალკა — პუხოვი 2:0; რუჟომბეროკი — ნიტრა 2:0; ჟილინა — დუბნიცა 3:0

## სლოვენია

სი მობილ ლიგა. II ტური

ნაფტა — პუბლიკუმი 2:1; მარიბორი — კოპერი 1:2; ნოვა გორიცა — დრავა პტუი 2:0; ბელა კრაინა — პრიმორიე 1:0; რუდარი — დომჟალე 0:8

# ისევ ის ბიჭი ვარ...

## ჟულიო ბაპტისტას რეალური სიურპრიზი

*აი, სიურპრიზიც ამას ჰქვია — ესპანური „სევილიას“ ან უკვე ყოფილი ბრაზილიელი მეგოლე ჟულიო ბაპტისტა გასულ უქმეებზე, არც მეტი, არც ნაკლები, მადრიდის „რეალში“ გადავიდა.*

*არადა, გემახსოვრებათ, ბაპტისტასა და ლონდონის „არსენალის“ ვაჭრობაზე რას აღარ სწერდნენ და ლაპარაკობდნენ.*

*ერთი სიტყვით, ბრაზილიელი თავდამსხმელი, ხუთი წლით „რეალის“ ფეხბურთელია, ხოლო მადრიდულ გრანდს ტრანსფერი 24,5 მილიონი ევრო დაუჯდა.*

*ჟულიო ბაპტისტას მადრიდული „ასის“ კორესპოდენტი ესაუბრა*




**— არც „არსენალი“, არც „ბარსელონა“ და აღარც „სევილია“. საბოლოოდ თქვენ მაინც მადრიდის „რეალი“ აირჩიეთ...**

— გეთანხმებით. გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო, მაგრამ ვფიქრობ, ჩემი არჩევანით გულდაწყვეტილი არც ერთი მხარე არ დარჩენილა. ინგლისში წასვლაზე იქაური, განსხვავებული თამაშის სტილის გამო ვთქვი უარი — ცხოვრებაც და თამაშიც აქ, ესპანეთში მირჩევნია. რაც შეეხება „ბარსელონას“, ეს უკვე ჩავლილი ამბავია და თანაც...

**— რისი თქმა გინდათ?**

— იმის, რომ ყოველთვის მადრიდის „რეალში“ თამაში მინდოდა. ბავშვობიდანვე ამ მითიურ კლუბზე ვიყავი შეყვარებული და ახლა ბურთაობა ლეგენდების მხარდამხარ მომიწევს — რომელი ერთი ჩამოვთვალო, ზიდანი, ბექჰემი, რაული, კასილიასი, რონალდო, რობერტო კარლოსი...

**— ვინმეს მოხსენიება ხომ არ დაგვიწყებიათ?**

— ვიცოდი, რომ რობინიოზეც შემეკითხებოდით. ერთადერთი, რაც შემიძლია გიპასუხოთ ის არის, რომ ჩემი ოცნება ახლა — „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რონალდოსა და რობინიოს გვერდით ვითამაშებ. გარდა ამისა, მათთან დიდი ხნის მეგობრობაც მაკავშირებს, ეს ბიჭები ფანტასტიკური ფეხბურთელები არიან და მათთან ერთად მოედანზე გასვლა დიდი სიამოვნებაა.

**— თქვენ როგორ იცით, რობინიოს ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია?**

— სხვის საქმეებში კომპეტენტური არ ვარ, მაგრამ რახან რობის სულით და გულით უნდა „რეალში“ მოსვლა, „სანტოსი“ იძულებული იქნება, ჩვენს კლუბთან გარიგებაზე წამოვიდეს. როგორც ვიცი, ორივე გუნდი რობინიოს ტრანსფერზე უკვე შეთანხმდა.

**— მადრიდი ახსენეთ. ამ ქალაქს კარგად იცნობთ?**

— საკმაოდ. თავისუფალ დღეებში ყოველთვის აქ ჩამოვდიოდი და რონალდოს გოლფს ვეთამაშებოდი. ახალ კლუბთან ადაპტაციაშიც სწორედ რონისთან მეგობრობა დამეხმარება.

**— იცით, რომ თქვენ „ბერნაბეუზე“ „ინტერში“ გადასული ვალტერ სამუელის, ეგრეთწოდებული „არაევროკავშირელის პოზიციას“ დაიკავებთ...**

— დიახ, ასეა, თუმც აგვისტოში, ალბათ ორმაგ მოქალაქეობას მივიღებ და არაევროკავშირელობის გამო ვიმედოვნებ, სირთულეები არ შემექმნება.

**— გავიგეთ, რომ თურმე პელეს ალმერთებთ...**

— კარგი ის იქნებოდა, პელეს თამაში, როგორც რიგით გულშემატკვარს, ტრიბუნიდან მენახა. ფეხბურთის მეფის მატჩები ვიდეოჩანაწერების მეშვეობით მაქვს ნანახი და ვიტყვი, რომ მსგავსი ოსტატი მსოფლიოს არც ჰყოლია და არც ეყოლება. რამდენიმე ხნის წინ პელე პირადად გავიცანი.

**— მას სად შეხვდით?**

— მადრიდში შემთხვევით მაშინ მოვხვდი, როცა პელე ესპანეთში ჩამოვიდა. ჩემმა აგენტებმა დამირეკეს ამის შესახებ და ფეხბურთის მეფეც მაშინ გავიცანი. შესანიშნავი პიროვნება გამოდგა, საკმარისად ვისაუბრეთ, მერე კი იყო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მატჩი, სადაც პელემ ბურთზე პირველი, საპატიო დარტყმა შეასრულა და იქაური ინჩასებისგან გულწრფელი ოვაციები მიიღო... „რეალის“ ფანებმა იციან ლეგენდების დაფასება, მიუხედავად იმისა, რომ ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს „სამეფო კლუბის“ მაისურით არასდროს უთამაშია.

**— „რეალში“ გადასვლით უკვე გეტყობათ, რომ აღფრთოვანებული ხართ...**

— 5-წლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი ისეთ გუნდთან, რომელშიაც თუნდაც ერთი დღით ყოფნა, ნებისმიერის ოცნებაა. ჯერაც ვერ ვიჯერებ, რომ „რეალის“ მოთამაშე ვარ.

**— „სევილიას“ და მის ინჩასობას რას ეტყოდით?**

— მე ახლა მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვარ, მაგრამ ის, რომ ჟულიო ბაპტისტა ფეხბურთელად და საერთოდ, პიროვნებად ჩამოყალიბდა, „სევილიას“ დამსახურებაა. ჩემს გულს „სანჩეს პისხუანზე“ ვტოვებ და ვიცი, ანდალუზიელი ფანები არ გამამტყუნებენ იმის გამო, რომ „რეალში“ წავედი. ახალგაზრდა, პროფესიონალ ფეხბურთელს კარიერაში წინსვლა სჭირდება — როდესაც ვინმეს მადრიდის „რეალის“ აგენტები დაუკავშირდებიან, მან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაშის შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას.

**— „სევილიაში“ ბრაზილიიდან უცნობ ნახევარმცველად მოხვედით, ხოლო მადრიდის „რეალი“ კი ანდალუზიური გუნდიდან ნამდვილ, მრისხანე მეგოლეს მიიღებს...**

— დიახ ესპანეთში რომ ჩამოვედი, საერთოდ არავინ მიცნობდა. „სევილიამ“ კი უცბად შემძინა პოპულარობა. როგორც გითხარით, ამ კლუბს ჩემს ცხოვრებისეულ წინსვლაში უდიდესი წვლილი მიუძღვის და არ გამოვრიცხავ, ეგებ ოდესმე უკან დავბრუნდე კიდეც. გამიხარდება, ასე რომ მოხდეს.

**— მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოს თუ იცნობთ და როგორი ურთიერთობა გაქვთ მასთან?**

— რა თქმა უნდა, ვიცნობ და ურთიერთობაც შესანიშნავი გვაქვს. კონტრაქტის გაფორმებისთანავე დამირეკა და მითხრა, რომ წარმატებებს გისურვებო. დარწმუნებული ვარ, მე და ლუშემბურგო „სამეფო გუნდში“ ერთმანეთს მალე გავუგებთ. უკვე განმიცხადა, რომ „ბერნაბეუზე“ ჩემი მოსვლით ძალიან კმაყოფილია.

**— ის თუ გითხრათ, მოედნის რა პოზიციაზე ითამაშებთ?**

— ამაზე არ გვილაპარაკია.

**— საუბრის დასაწყისში „რეალის“ სუპერვარსკვლავები დაგვისახელეთ. მაინც ყველაზე მეტად რომელი მათგანის თამაში მოგწონთ?**

— ძნელ შეკითხვას მაძლევთ. კარგით, გეტყვით — ზიდანი სხვებზე უკეთესია.

**— ბოლოდ გუნდში გადასვლა ბევრი ფეხბურთელის ცხოვრებას კარდინალურად ცვლის-ხოლმე. როგორ ფიქრობთ, ჟულიო ბაპტისტას „ვარსკვლავური სენი“ ხომ არ შეეყრება?**

— ეგეთი რაღაცეები ჩემგან შორსაა. აქამდე ვინც ვიყავი, მადრიდშიც იმ ადამიანად დავრჩები.

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საფრანგეთი II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 138 | გენგამი-სედანი | 1.85 | 2.90 | 4.30 | 1.12 | 1.29 | 1.73 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 139 | ლორიანი-ლავალი | 1.85 | 2.90 | 4.20 | 1.12 | 1.28 | 1.71 |
| | | **შვედეთი ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 262 | გიოტებორგი-ჰეკენი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 21:00 | 263 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 21:00 | 264 | ჰელსინგბორგი-ი'ურგორდენი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 265 | ლანდსკრონა-გეფლე | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 273 | ბოდენსი-იორებრო | 3.80 | 3.40 | 1.80 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 21:00 | 274 | ბრომაპოიკარნა-ვესტეროსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 21:00 | 275 | მიალბი-ატვიდაბერგი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 396 | შტუტგარტი-შალკე | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 391 | ლანსი-ვოლფსბურგი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 20:00 | 392 | როდა-ვალენსია | 3.10 | 3.20 | 2.00 | 1.57 | 1.21 | 1.23 |
| 20:00 | 393 | ჰამბურგი-სიგმა | 1.30 | 3.90 | 8.30 | 1.00 | 1.12 | 2.65 |
| 20:00 | 394 | მარსელი-ლაციო | 1.90 | 3.00 | 3.90 | 1.16 | 1.27 | 1.69 |
| 20:00 | 395 | ნიუკასლი-დეპორტივო | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კადეტთა ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი. ჰოლანდია. ბულგარეთი

# კადეტებმა გამარჯვებით დაიწყეს

**საქართველო 82:56 ბულგარეთი**

საქართველო: მათიაშვილი (25 წუთი, 22 ქულა, 16 მოხსნა), შენგელია (33 წუთი, 15 ქულა, 12 მოხსნა), ცეკვავა (13 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი)

**ხმაურიანი** გამარჯვებით დაიწყო ბულგარული საკვალიფიკაციო ტურნირი საქართველოს კადეტთა ნაკრებმა. ჩვენები ჯგუფში შვედეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის ნაკრებებთან არიან და კალენდარმა თავიდანვე მასპინძლებს დაახვედრა გელა წულაძის შეგირდები. ქართველებმა შესანიშნავი გამარჯვებით იზეიმეს მეტოქეზე და ჯგუფიდან გასვლის უპირველეს კანდიდატებად ითვლებიან. შეგახსენებთ, რომ ჯგუფიდან 2 გუნდი გავა და შემდეგ კიდევ ორი ახალი ოთხგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება. იქიდან გასულნი 1/4 ფინალებში შეერკინებიან, რისი მოგებაც A დივიზიონის საგზურებს ირგუნებენ. ბულგარელებზე 26-ქულიანი გამარჯვების შემდეგ ქართველთა ერთ-ერთ მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილს შევეხმიანეთ...

— დიდი ანგარიშით კი მოვიგეთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ იოლად მოვაღწიეთ წარმატებას. ახლა ვუყურებ ჩვენი ჯგუფის კიდევ ორი წევრის, უნგრეთისა და შვედეთის მატჩს და როგორც თვალნათლივ ჩანს, ბულგარელები ამათზე ძლიერები არიან...

— 26-ქულიანი გამარჯვება მაინც ყველაფერზე მიანიშნებს...

— რა თქმა უნდა, ბულგარელები მთლიანობაში დავჯაბნეთ, მაგრამ საკუთრივ ჩვენი თამაშის ხარისხის გამო ვამბობ, რომ მთლად კმაყოფილები არა ვართ. ჩვენ ძალიან ბევრი ბურთი დავკარგეთ და იმაში გაგვიმართლა, რომ სხვა კომპონენტებში დავჯაბნეთ მეტოქე. ფარზე დიდი უპირატესობა გვქონდა და დაცვაშიც არ შევირცხვინეთ თავი.

— როგორც სტატისტიკიდან ჩანს, ყველაზე გამორჩეული რიჩარდ მათიაშვილი იყო...

— რიჩარდმა მართლაც ძლიერად ითამაშა. ის არც ქულების კეთებაში ჩამორჩა ვინმეს და მოხსნებიც ყველაზე მეტი დაუგროვდა. გამოვარჩევდი ასევე რევაზ შენგელიას, გიორგი ცეკვავას და ტატო ჩაჩიბაიას. ისე კი მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა, ჩვენ ყველა მოთამაშეს მივეცით თავის გამოჩენის შანსი. გამოსარჩევი იყო ასევე მთავარი მწვრთნელის გელა წულაძის ზუსტი მოქმედება და საჭირო შეცვლები.

**ირაკლი პერტაია**



# სამ"ში სამი

**პოლონეთში** 16-წლამდელ ბეისბოლისტთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ჯგუფურ ეტაპს ისე ატარებს, წესით ფინალში თამაში ვალაზე ადრე უნდა გაინაღდოს. პირველ ტურში ევროპის მოქმედი ჩემპიონის, ჰოლანდიის ძლევის შემდეგ შაბათ-კვირას ნუგზარ კაპანაძის შეგირდებმა ჯერ გერმანია დაამარცხეს 20:7, ხოლო შემდეგ ავსტრია, დაძაბულ ბრძოლაში — 4:2.

დღეს საღამოს ჩვენი ნაკრები პოლონეთს ეთამაშება. ამ გუნდსაც სამი თამაშიდან სამი მოგება აქვს და სწორედ დღევანდელი მატჩი გადაწყვეტს, ვინ გალიდერდება ჯგუფში.

**ოთარ გალლაძელიძე**



# მაგიდას ქართველები შემოუსხდნენ

**29 ივლისიდან** 7 აგვისტომდე შვედეთის ქალაქ გეტებორგში ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი, ევროპის საკლუბო ჩემპიონატი იმართება, რომელშიც ქართველი მოჭადრაკეებიც მონაწილეობენ.

29 ივლისს გახსნის ცერემონია გაიმართა, 30-ში კაპიტნების შეხვედრა, გუშინწინ კი მონაწილეები მაგიდებს შემოუსხდნენ და თამაშებიც გახურდა.

პირველ წრეში ქართველ ქალაქთა ნაკრები შვედეთის ნაკრებს დაუხვდა. შეხვედრა ანგარიშით 2:2 დასრულდა. ზურაბ აზმაიფარაშვილმა იესპერ ჰალს ვერ მოუგო, ხოლო ბადურ ჯობავამ კეზლი ონგს, ლევან ფანცულაიამ ჰანს ტიკანენის მეფის დატყვევება ვერ შეძლო, მეოთხე ყაიმი კი მიხეილ მჭედლიშვილისა და ლინუს ოლსონის თამაშში დაფიქსირდა.

უკეთ დაიწყეს ტურნირი ჩვენმა ქალბატონებმა. ერთადერთი საყამოდ დასრულებული შეხვედრა ნინო ხურციძისა გახლდათ, რომელმაც ებრაელ მაშა კლინოვას ვერ აჯობა. დანარჩენ სამ თამაშში კი ჩვენებურებმა ებრაელები პირწმინდად დაჯაბნეს. მაია ლომინაშვილმა ანჟელა ბორსუკს მოუგო, ნანა ძაგნიძემ ბელა იგლას, ლიუდმილა ციფანსკაიას კი ქეთევან არახამია-გრანტმა აჯობა.

გუშინ მეორე ტური გაიმართა და საქმეები პირიქით დატრიალდა. კაცებმა მოიგეს, ქალბატონებმა კი ფრედ ითამაშეს.

ლიტვის ნაკრებთან შეხვედრაში ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბადურ ჯობავა და ლევან ფანცულაია ედუარდის როზენტალისს, შარუნას სულსკისს და ალოიზას კვეინისს დაუზავდნენ, ლაშა ჯანჯღავამ კი ვაიდას საკალაუსკასს მოუგო.

მანდილოსნები პოლონეთის ნაკრებს ეთამაშებოდნენ. მაია ჩიბურდანიძემ და მაია ლომინეიშვილმა ივეტა რადჟეევიჩთან და იოლანტა ზავადკასთან იყაიმეს. ნინო ხურციძემ მონიკა სოკოსთან დათმო შეხვედრა, ნანა ძაგნიძემ კი მარტა ჟელინსკას მეფე წამოაქცია.

**ლადო ჟულუკიძე**






# ლონდონის ათენური სცენარი ბრიტანეთის დედაქალაქში აფეთქებებმა ოლიმპიური სიმშვიდე დაარღვია

**ლონდონელებმა ის იყო შორეული სინგაპურიდან სენსაციური ცნობა მიიღეს, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქმა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის დავაში პარიზს ოთხიოდე ხმით აჯობაო და ნისლიანი ალბიონი სიხარულმა მოიცვა. და როცა, ტრაფალგარის მოედანზე შეკრებილ უამრავ ხალხს საზეიმო განწყობილება სულ უფრო უძლიერდებოდა და ეიფორია ეძალებოდა, სიხარული თავზარდამცემმა ამბავმა შეცვალა — ლონდონი ოთხმა უძლიერესმა აფეთქებამ შეაზანზარა, რამაც მრავალი ადამიანი იმსხვერპლა და ბევრად მეტი დააშავა. ზოგმა ეს ამბავი ლონდონის ოლიმპიურ გამარჯვებას დაუკავშირა, მაგრამ ინგლისის სპეცსამსახურებმა უმალ უარყვეს ამგვარი ხმები.**

**და მაინც,** გვინდა თუ არა, ეს ტერაქტები უთუოდ ბევრ პრობლემას წარმოშობს და იგი პირდაპირ თუ ირიბად მაინც დაუკავშირდება 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს და იგი მასპინძელთათვის თავის ტკივილი გახდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ლონდონი თუ ვერ იპირველებდა იმ ოლიმპიურ დავაში, სხვა ნებისმიერი გამარჯვებულიც იმავე პრობლემების წინაშე დადგებოდა. ეს პრობლემა კი გახლავთ ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული უზარმაზარი ხარჯები, რომელიც ყოველ მომდევნო თამაშებზე არნახულად იზრდება, განსაკუთრებით მას მერე, რაც 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა (იმ ტერაქტს ორი ადამიანი შეეწირა და 100-ზე მეტი დაშავდა). ამიტომაც, უსაფრთხოებისთვის თავდაპირველად გამოყოფილი ხარჯები ასტრონომიულად გაიზარდა ნაგანოს ზამთრის, სიდნეის ზაფხულის, სოლტ ლეიკ სიტის ზამთრისა და ათენის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. ათენში ამგვარმა ხარჯებმა განსაკუთრებით ბევრად გადააჭარბა თავდაპირველად დაგეგმილს, რამაც ბოლოს 500 მილიონს მიაღწია, რის გამოც ბერძნები ალბათ თავ-ბედს იწყევლიდნენ.

ახლა ვარაუდობენ, რომ ლონდონსაც იგივე ბედი ელის და ფიქრობენ, მათი პრობლემებიც ათენური სცენარით განვითარდებაო. ეს რომ თავიდან აიცილონ, როგორც ვიუწყებოდით, ინგლისში სტარტი აიღო ეროვნული ლატარეის გათამაშებამ, რომლის მიზანი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის 1,5 მილიარდი ფუნტი სტერლინგის მოგროვებაა. ამ აქციის არსი ისაა, რომ მას, ვინც ლატარიაში 1 ფუნტს გადაიხდის, ხუთიდან ერთი შანსი ეძლევა, რათა დაიბრუნოს 1 ფუნტი ან მოიგოს 2012 ფუნტი.

ეს თქვენი შანსია, რითაც ჩვენ დაგვეხმარებითო, ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი დენის რიჩარდი.

მართლაც, ლონდონის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს ეს ლატარეა ძალზე დაეხმარება, მაგრამ საეჭვოა, რომ ბრიტანეთის დედაქალაქის ოლიმპიური ხარჯები მხოლოდ ამ ლატარიამ დაფაროს.

ამიტომაც ახლა ლონდონში უკვე გაისმის კითხვები, საიდან და რომელი წყაროებიდან უნდა დაფინანსდეს ეს ოლიმპიური თამაშები და მოძიებული თანხები ყველაფერს გაწვდება თუ ვერო.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ლონდონური აფეთქებების მერე და ბევრი ფიქრობს, რომ, ოლიმპიადის უსაფრთხოება ბრიტანეთის დედაქალაქს გაცილებით ძვირი დაუჯდება, ვიდრე ეს გათვლილი იყო.

საინტერესოა, რომ როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისია ხუთივე ფინალისტ ქალაქს ეწვია, მან ლონდონს უმაღლესი შეფასება მისცა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ბრიტანელთა მიდგომას. ამის თაობაზე ლონდონის საგანაცხადო კომიტეტის მეთაური ოლიმპიური ჩემპიონი ლორდი კოე შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა და სიამაყით ლაპარაკობდა, დღეს უნდა ითქვას, რომ მისი სიამაყე უსაფუძვლო სულაც არ იყო.

მართლაც, ბრიტანელებმა უსაფრთხოების სფეროში ძალზე დიდი დახმარება აღმოუჩინეს ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს.

მაგრამ, აი, ბრიტანელებმა, სამწუხაროდ, ვერ უზრუნველყვეს თავიანთი დედაქალაქის უსაფრთხოება, რისგანაც, კაცმა რომ თქვას, მსოფლიოს არც ერთი ქალაქი დაზღვეული არაა. ამიტომაც ბოლო მოვლენებმა ბრიტანეთში ბევრი დააფიქრა და დააეჭვა, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებისთვის განსაზღვრული თანხა შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდესო. ამის თაობაზე სხვებზე მეტად ოპოზიციონერი კონსერვატორები საუბრობენ. მაგალითად, ჩრდილოვანი კაბინეტს კულტურისა და სპორტის „მინისტრი" ტერეზა მეი ამბობს:

„თუ გავითვალისწინებთ იმ თანხას, — 225 მილიონს — რომელიც ლონდონის ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტში უსაფრთხოებისთვისაა გათვალისწინებული, ვფიქრობ, რომ ჩვენ პრობლემები გვექნება. ეს ორჯერ ნაკლებია იმასთან შედარებით, რაც ათენის ოლიმპიადაზე დაიხარჯა. ვფიქრობთ, რომ ამგვარი ხარჯები უთუოდ გაიზრდება.

„მე ძალიან მაღელვებს ის ამბავი, რომ მინისტრს ჯერ არ გაუცია პასუხი იმაზე, თუ რის ხარჯზე გაიზრდება უსაფრთხოებისთვის დამატებითი დაფინანსება. საიდან უნდა მოიტანონ ეს თანხა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტიდან ხომ არა, ან იქნება სხვა წყაროებიდან? მანამ ჩვენ ამას არ გავიგებთ, ვერ შევძლებთ თამაშების ბიუჯეტში უფრო რეალური თანხის მითითებას" — ამბობს ოპოზიციური პოლიტიკოსი, მაგრამ ტონი ბლერის კაბინეტის კულტურის მინისტრი ტეს ჯაუელი ვარაუდობს, რომ საპანიკოდ არავითარი მიზეზი არ არსებობსო.

„დიახ, თანხა, რომელზეც საუბარია, შესაძლოა გაიზარდოს კიდეც, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ბიუჯეტში ჩადებული თანხა საიდანაც მიერ რიდან არ ჩამოგვილია. იგი გამოყენებულია მსგავსი დონისა და მასშტაბების ღონისძიებების გამოცდილებიდან. ჩვენ ყურად ვიღეთ სპეცსამსახურების აზრი და ნუ გავიწყდებათ, რომ სწორედ ჩვენმა ექსპერტებმა შეასრულეს დიდი როლი ბერძენთათვის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამასთან, მთლად გამართლებული არ უნდა იყოს ათენელებთან ჩვენი ხარჯთაღრიცხვის შედარება. ჩვენ უფრო განვითარებული ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოების სისტემა გვაქვს, რაც მსგავსი ღონისძიებებისთვისაა აუცილებელი".

ოღონდაც, მინისტრის ასეთი ოლიმპიური სიმშვიდე ყველაზე გამდებად სულაც არ მოქმედებს. არავინ იცის, როგორი ვითარება იქნება ექვსი-შვიდი წლის მერე და რა პრობლემები გამოუჩნდება ლონდონის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**GENERALI OPEN**
**კიცბიუელი. თიხნარი.**
**საპრიზო 625 ათასი €**

**მეოთხედფინალი**

**გასტონ გაუდიო 3,** (არგენტინა) — მიხაილ იუჟნი 6, (რუსეთი) 6:4 4:6 6:4; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ფელისიანო ლოპესი 5, (ესპანეთი) 6:4 6:2; **ნიკოლას მასუ 7,** (ჩილე) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:4 6:7 (0:7) 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ვიქტორ ჰანესკუ 15, (რუმინეთი) 6:3 6:3

**ნახევარფინალი**

**გაუდიო** — საბალეტა 6:1 6:1; **ვერდასკო** — მასუ 3:6 6:3 7:5

**ფინალი**

**გაუდიო** — ვერდასკო 2:6 6:2 6:4 6:4

# გაუდიოს თიხნარზარდახშა გაუდიდდა



გასტონ გაუდიო

**26 წლის** გასტონ გაუდიომ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ამ მომენტისთვის წლეულს რვა თიხნარტიტულის მომგებ რაფაელ ნადალის შემდეგ ამქრის უჩაუქესი მეთიხნარია.

ესპანელ ფერნანდო ვერდასკოს წინააღმდეგ მას გუშინ მხოლოდ პირველ წრეში გაუჭირდა და, მართალია, ასპროცენტიანი უპირატესობა მომდევნო სეტებშიც არ მოუნაგრავს, მაგრამ უფრო სტაბილურად და თავდაჯერებულად მოსარჯემ კარიერის მერვე, ხოლო სეზონის მეხუთე სათიხნარო ტიტული მაინც დასტურ გაუსაჩივრებლად მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს მან ასევე იმარჯვა ვინადელმარულ, ბუენოსაირესულ, ეშტორილურსა და — ამ ორიოდ კვირის წინ — გშტაადურ კორტებზე. წინის წინა კვირაში ის შტუტგარტულ ტიტულსაც ეტევებოდა, მაგრამ ფინალში სწორედ ნადალთან დამარცხდა.

ახლა მის საამსეზონო ანგარიშზე 12 მარცხის წილ 47 გამარჯვებაა, საკუთრივ თიხნარზე კი 8 მარცხის მაგრად საპირწონედ 43 გამარჯვებას მოიძევს, რითაც — ზემოთვე მოგახსენეთ — ამქარში მხოლოდ მალიორკელ ვუნდერფასკუნჯს ჩამოუვარდება.

**BANK OF WEST CLASIC**
**სტენფორდი. მაგარსაფარი.**
**საპრიზო 585 ათასი $**

**მეოთხედფინალი**

**ვინუს უილიამსი 2,** (აშშ) — ელენა იანკოვიჩი 7, (სდჩ) 6:3 6:3; **პატი შნიდერი 3,** (შვეიცარია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:2 6:1; **კიმ კლაისტერსი 4,** (ბელგია) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:4 3:6 6:1; **ანა-ლინა გრიონეფელდი** (გერმანია) — ნატალი დეში 6, (საფრანგეთი) 2:6 6:2 6:3

**ნახევარფინალი**

**უილიამსი** — შნიდერი 2:6 7:6 (7:4) 6:2; **კლაისტერსი** — გრიონეფელდი 6:4 6:0

**თავის** მეექვსე სტენფორდულ ფინალში გასაღწევად წლევანდელი უიმბლდონობის ჩემპიონ ვინუს უილიამსს პატი შნიდერის მიერ მისთვის მოწყობილი უმძაფრესი გამოცდის ჩაბარება მოუხდა.

ცაცია შვეიცარიელი, ვინაც წინა კვირაში ცინცინატობაზე იმარჯვა და ისე ჩანს, ახლა კარიერის ერთი საუკეთესო მონაკვეთი უნდა ჰქონდეს, უფროს უილიამსდას იმ დღეს მართლაც ბარაქიანად ეპაექრა. პირველი სეტის იოლად მოგების შემდეგ მან მეორეში 2:4-დან ამოქაჩვა შეძლო, სეტის ბოლოსკენ 6:5-ით დაწინაურდა და თავის მოწოდებაზე ერთი ქულის მოგებაღა აკლდა, ზედიზედ მეორე ფინალისკენ რომ გაევაკა.

მაგრამ ვინუსმა — როგორც ეს სხვა დროსაც გაუკეთებია — სადავეების უკუპყრობა და ვაგლახად დატრიალებული ჩარხის წალმა შებრუნება სწორედ უფსკრულის ანუ 0:40-ის პირას მყოფმა შეძლო. გადამწყვეტ მომენტში მან მეტოქეს 5 მატჩბურთი გაუარაფრა, მერე გეიმიც წაჰგვარა და, რაკიღა ფონს გასულმა თავი კვლავ დიდ ჩემპიონად დაიგულა, აღარც ტაიბრეიკის მოგება გასჭირვებია და აღარც უკანასკნელი სეტისა.

ეს მათი მეექვსე დაპირისპირება გახლდათ და 26 წლის შნიდერმა ჩოგნიდან გაუშვა ალბათ პირველი ურეალურესი შანსი, წლით უმცროსი ვინუსისთვის ერთი მატჩი მაინც მოეგო.

ტურნირის ორგზის (2000 და 2002 წლების) ჩემპიონი კი ფინალში გუშლამ მისდარადვე ორგზის (2001 და 2003 წლების) პირველოსან კიმ კლაისტერს უნდა შეხლოდა, ვინაც, ისევე როგორც აი სუგიამასა და დანიელა ჰანტუხოვას, ნორჩ ანა-ლინა გრიონეფელდსაც კამაც-კამაც და დარდიმანდად გადაუქრბინა.

სხვათა შორის, სტენფორდულ ფინალში ისინი ერთმანეთს 2002 წელსაც დაჯახებიან და — აკი ზემორე აბზაცში გამცნეთ — იმ წელს ვინუსმა იჩემპიონა.

ვინუსივეა წინ მათ პირად დაპირისპირებაში — აქამომდელი რვა შეხლიდან მან ფუმფულა ფლანდრიელს ორი მარცხის წილ ექვსჯერ აჯობა.

**MERCEDES-BENZ CUP**
**ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი.**
**საპრიზო 355 ათასი $**

**მეოთხედფინალი**

**ანდრე აგასი 1,** (აშშ) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 6:2 4:6 6:4; **დომინიკ ჰრბატი 2,** (სლოვაკეთი) — რიკარდუ მელუ (ბრაზილია) 4:6 7:6 11:9) 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:4 7:6 7:3); **ჟილ მიულერი** (ლუქსემბურგი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 7:5) 7:5

**ნახევარფინალი**

**აგასი** — ჩელა 6:4 6:2; **მიულერი** — ჰრბატი 4:6 7:6 (7:4) 6:1

**ვინუსის** დარად ანდრე აგასიმაც თავის წილ ამბავში უკვე მეექვსე ფინალს უწია. ოღონდ [illegible]სგან განსხვავებით, მას იქ სამჯერ (1998, 2001 და 2002 წლებში) უმარჯვია და მეოთხის მოსაპოვებლად გუშლამ კლაისტერსისებრ სახიფათო მეტოქესაც არ უნდა [illegible].

35 წლის არმენოამერიკელს მთელი გასული კვირის განმავლობაში მხოლოდ ტაილანდელი შრიჩაფანის წინააღმდეგ გაუჭირდა, თორემ ჟან-რენე ლისნარს, კევინ კიმსა და ხუან იგნასიო ჩელასაც ისე სძლია, სამივე ერთ [illegible]ტეზეც არ გაუკარებია.

რაც შეეხება მსოფლიო რეიტინგის 75-ე საფეხურზე მდგომ მიულერს, მან თავის მეორე საჩემპიო ფინალს უწია.

პირველად — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — ამ 22 წლის ლუქსემბურგელმა ჭაბუკმა შარშანდელ ვაშინგტონობაზე იფინალა, სადაც ლეიტონ ჰიუიტისგან იძლია.

სხვათა შორის, იმ ფინალში გასასვლელად მან თავიანთ ერთადერთ აქამომდელ დაპირისპირებაში სწორედ აგასის მოუგო.

ამგვარად, გუშლამ [illegible] ანდრე[illegible]ნიკს შეეძლო, მიულერისაც [illegible] და საკარიერო ტიტულმისაგარიც [illegible].

**ხორვატიის ღია პირველობა**
**უმაგი. თიხნარი.**
**საპრიზო 319 ათასი €**

**მეოთხედფინალი**

**გილერმო კორია 2,** (არგენტინა) ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:3 6:0; **ფილიპო ვოლანდრი 8,** (იტალია) ტომი რობრედო 3, (ესპანეთი) 3:6 6:3 6:3; **კარლოს მოია 6,** (ესპანეთი) დავიდ ფერერი 4, (ესპანეთი) 6:4 0:6 6:3; **ირჟი ნოვაკი 5,** (ჩეხეთი) ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:0 6:3

**ნახევარფინალი**

**კორია** — ვოლანდრი 4:6 6:3 6:2; **მოია** — ნოვაკი 6:4 6:4



**30 ივლისი. პრეტორია**
**ს. აფრიკა 22:16 ავსტრალია**

**სამხრეთ აფრიკა:** პერსი მონტგომერი, ბრეიტონ პოლსი, ჟაკ ფიური, ჟან დევილიერი (უეინ იულიუსი 61), ბრაიან ჰაბანა; ანდრე პრეტორიუსი, ფიური დუპრე (ენრიკო ჯანუარი 73); ჟაკ კრონჯე (შალკ ბურგერი 53), ხუან სმითი, ჯო ფან ნიკერკი, ვიქტორ მეტფილდი (ალბერტ ფან დენ ბერგი 67), ბაკიზ ბოთა, სიჯეი ფან დერ ლინდე (გარი ბოთა 67), ჯონ სმიტი (კაპ), გურთრო შტინკემპი

*1 ლელო: პოლსი (51); 1 გარდასახვა: მონტგომერი (51), 3 საჯარიმო: მონტგომერი (3, 61, 73); 2 არეკნი: მონტგომერი (29), პრეტორიუსი (80)*

**ავსტრალია:** კრის ლათამი, ვენდელ სეილორი (დრიუ მიტჩელი 73), მორგან ტურინუი (სტერლინგ მორტლოკი 58), მეტ ჟიტო, ლოუთ თუქირი; სტივენ ლარქემი, ჯორჯ გრეგანი (კაპ); ჯონ რო (როკი ელსომი 77), ჯორჯ სმიტი, ფილ ვუ, ნათან შარპი, დანიელ ვიკერმანი (მარკ ჩიშოლმი 72), მეტ დანინგი (ალ ბაქსტერი 48), ჯერემი პოლი (სტივენ მური 78), ბილ იანგი

*1 ლელო: სმიტი (40); 1 გარდასახვა: ჟიტო (40); 3 საჯარიმო: ჟიტო (22, 27, 58)*

**სამი ერი 2005**

# მონტგომერიმ და სამხრეთ აფრიკამ ვოლაბები წამოაქციეს


ანდრე პრეტორიუსი და პერსი მონტგომერი

**პრეტორიის** „ლოფტუსის“ სტადიონზე შაბათს სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ავსტრალიისას უმასპინძლა და წლევანდელი სამი ერის თასის გათამაშებაც დაიწყო.

რთული მატჩი გამოდგა და საგრძნობი უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა. თამაში ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა, შეცდომები ნაკლები იყო და ლელოების გატანა მეტოქეებს ერთობ გაუძნელდათ. აკი მატჩიც ისე დამთავრდა, რომ ტრიბუნებზე შეკრებილმა გულშემატკივარმა მხოლოდ 2 ლელო იხილა.

ანგარიშის გახსნის პატივი მესამე წუთზე მასპინძლებს ერგოთ. პერსი მონტგომერიმ საჯარიმო ჯორჯ სმითის მიერ რაქში წესების დარღვევის გამო დაარტყა და არ აუცილებია.

პირველ 20 წუთში ანგარიში აღარ შეცვლილა. „ქურციკები“ უშედეგოდ ცდილობდნენ, სტუმართა დაცვაში ბზარი ეპოვათ, „ვოლაბები“ კი თავის მხრივ მწვავედ იკბინებოდნენ და ერთი-ორი ისეთი კონტრშეტევაც გამოაცხვეს, რომ მასპინძელთა ქომაგს ალბათ ცივმა ოფლმა დაასხა.

ერთხელ ვენდელ სეილორი იყო ჩათვლის მოედანთან ახლოს, თუმც მონტგომერიმ მისი შეჩერება შეძლო, მეორედ კი ჯორჯ სმითს არ დაანებეს დამხვდურებმა ლელოს გატანა.

მომდევნო ათწუთეულში უპირატესობა ავსტრალიელებმა იგდეს ხელთ და 3 ქულით დაწინაურდნენ. ფიური დუპრე თამაშგარეში აღმოჩნდა და მეტ ჟიტომ საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაქვითა, მეორედ კი სამქულიანი დარტყმის შესრულება ასეთი ეპიზოდის შემდეგ მოუწია. კრის ლათამმა საჰაერო ბრძოლაში მონტგომერის აჯობა და ბურთი ლოუთ თუქირის უბოძა, ეს უკანასკნელი კი რაქში აღმოჩნდა, სადაც სამხრეთაფრიკელნი დაჯარიმდნენ კიდეც და ჟიტომაც მეორე ზუსტი საჯარიმო დარტყმა მიითვალა.

ორიოდ წუთში მონტგომერიმ შეუტია. იგრძნო, რომ მეტოქის ჩათვლის მოედნამდე ვერ მიაღწევდა, კარგ პოზიციაში მყოფი პარტნიორებიც არ ჩანდნენ და ბურთს ფეხი ამოარტყა. შედეგად კარგი არეკნი გამოვიდა და ანგარიშიც გათანაბრდა.

ის იყო, ტაიმი უნდა დამთავრებულიყო და გულშემატკივარიც სასუსნავის მოსამარაგებლად შესვენებაზე გასვლას აპირებდა, რომ ჯორჯ სმითმა ჩათვლის მოედანთან რამდენიმე სამხრეთაფრიკელი გაარღვია და ბურთი დაამიწა. სტუმრები 11:6 დაწინაურდნენ, მეტ ჟიტოის ზუსტმა გარდასახვამ კი მონაგარს კიდევ 2 ქულა მიამატა.

მეორე ტაიმის ლიდერები [illegible]ლისას წააგავდა. სამხრეთ აფრიკა უფრო დიდხანს ფლობდა ბურთს, ავსტრალია კი უფრო მწვავედ უტევდა, თუმცა 51-ე წუთზე ისეთი ამბავი დატრიალდა, მატჩის ბედი გადაწყვიტა.

ბრაიან ჰაბანამ თავის ფრთაზე გაინავარდა და შესანიშნავი ცრუ მოძრაობით ტურინუის გაბითურება შეძლო, შემდეგ კი ბურთი მონტგომერის გადააწოდა. ამ უკანასკნელმა საოცრად გამოზომილი და [illegible]ლი გადაცემა გაუკეთა ბრეიტონ პოლსს, რომელმაც 22 მეტრი გაირბინა და ლელოში შეინავარდა.

მონტგომერის გარდასახვამ ანგარიში გაათანაბრა.

„ვოლაბებმა“ ერთხელაც მოახერხეს წინ გასვლა მეტ ჟიტოის საჯარიმო დარტყმის წყალობით, თუმცა ავსტრალიელთ ისევ მატჩის საუკეთესო მოთამაშე პერსი მონტგომერიმ უპასუხა 2 საჯარიმოთი.

მატჩის დამთავრებას [illegible] აკლდა. მასპინძლები 19:16-ს იგებდნენ და სტუმრებს კიდევ შეეძლოთ რაღაცის იმედი ჰქონოდათ, თუმცა ანდრე პრეტორიუსის მიერ 30 მეტრიდან ბოლო წუთზე დარტყმულმა შესანიშნავმა არეკნმა შეხვედრის წერტილი დაუსვა.

**ლადო ფულუკიძე**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეცამეტე ეტაპი**

# კიმის შანსი გაუჩნდა

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** იქნა, „ფერარის“ წლევანდელ ჩემპიონატში კვალიფიკაციის მოგება ელირსა. 2004 წლის 12 პოულის(!) შემდეგ სკუდერიელებმა მიმდინარე სეზონში პირველ წარმატებას მხოლოდ მე-13 ეტაპზე მიაღწიეს.

„ჰუნგარორინგზე“ პირველი გავიდა წინა რბოლაში ყველაზე ადრე გამოთიშული კიმი რაიკონენი. „ყინულის კაცის“ დრო კარგა ხანს საუკეთესო იყო, ვიდრე იარნო ტრული მისხალი უპირატესობით — წამის ხუთი მეასედით აჯობებდა.

მე-17 გამოჩნდა ტრასაზე მიხაელ შუმახერი და ისე სწრაფად და უნაკლოდ გაიქროლა ოთხკილომეტრიანი წრე, რომ ერთი წამი ჩამოაკლო ტრულის შედეგს. კიდევ ოთხი პილოტის ცდა რჩებოდა, თუმც ვერავინ შეძლო ჩემპიონის მაჩვენებელთან მიახლოებაც კი, მათ შორის ფერნანდო ალონსომ. სეზონის გმირი თავიდანვე ჩამორჩა შუმის გრაფიკს, წრის ბოლო მოსახვევში კი ტრეკიდან ბალახში გადასეირნებით ბლომად დრო დაკარგა და საბოლოოდ მეექვსე სასტარტო პოზიციას დასჯერდა.

მიხაელის გვერდით პირველ რიგში მოკალათდა ხუან-პაბლო მონტოია, მათ უკან ტრული და რაიკონენი, რომელსაც ბუქმეიკერები უმთავრეს ფავორიტად თვლიდნენ.

შუმახერს კვალიფიკაციის შემდეგ ისე მიესივნენ ფოტო-ტელერეპორტიორები, თითქოს რბოლა მოეგოს. ეს მის კარიერაში 64-ე პოულ-პოზიციაა და ერთიღა აშორებს ბრაზილიელ „ჯადოქარ“ აირტონ სენას ფანტასტიკურ რეკორდთან.

გერმანელის სისხლისფერი ბედაურის დაფეთება ეტყობა იმის გამოც იყო, რომ ავზში ცოტა საწვავი ესხა. ბუდაპეშტის ვიწრო





AFP ბუდაპეშტიდან

კრისტიან კლიენი ამ საშინელებას უვნებლად გადაურჩა

და უამრავ მოსახვევთან ტრასაზე გასწრება თითქმის შეუძლებელია. ამდენად რბოლის პირველ პოზიციიდან დაწყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბოლო ოთხ წელს უნგრეთის დიდი პრიზი სწორედ კვალიფიკაციის მომგებმა დაისაკუთრა.

გუშინ ეს ტრადიცია დაირღვა, მაგრამ ვიდრე რბოლაზე ვიტყოდეთ, უნდა აღინიშნოს ჩემპიონატის რეგლამენტში ის მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ უნგრული ეტაპის წინ დააკანონა. მოგეხსენებათ, წლეულს აიკრძალა რბოლის მსვლელობისას საბურავების შეცვლა. ამას რამდენიმე მეტად საშიში ინციდენტი მოჰყვა და მძღოლებმა ხმა აიმაღლეს თავიანთი უსაფრთხოების დასაცავად. ფედერაციასაც სხვა გზა აღარ დარჩა და ორიოდე დღის წინ საკუთარი, რბილად რომ ვთქვათ, დაუფიქრებელი გადაწყვეტილება გააუქმა.

ამიერიდან გუნდებს ნება დაერთოთ, ნებისმიერ საეჭვო ვითარებაში ბორბლები შეცვალონ. ოღონდ ეს უნდა მოხდეს დამატებით პიტ-სტოპზე და არა იმ დროს, როცა მანქანა ბოქსებში საწვავის ჩასამატებლად შედის.

ერთიც საბორბლე თემაზე. სენსაციური ცნობაა — „მიშლენის“ კლიენტი ხუთი საჯინიბო იაპონურ „ბრიჯსტოუნისკენ“ გადაბარგებას აპირებსო. „მოღალატეთა“ ვინაობას ჯერჯერობით არ ასახელებენ, თუმც ეს ფაქტი თავისთავად ზედმეტად ბევრის მთქმელია ფრანგ მესაბურავეთა ორი თვის წინანდელი ამერიკული სკანდალის გათვალისწინებით. შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ „ბრიჯები“ მხოლოდ სამი გუნდის — „ფერარის“, „ჯორდანის“ და „მინარდის“ ბოლიდებს აცვიათ...

საწყენია, რომ უნგრეთის საიუბილეო, მეოცე დიდი პრიზის გათამაშებას ჩვეული ინტერესი არ გამოუწვევია. გუშინდელი რბოლისას ტრიბუნები სანახევროდ კი არა, უფრო მეტად მოტიტვლებული ჩანდა. არადა, „ჰუნგარორინგზე“ ბილეთების ფასი სულაც „არ იკბინება“.

სტარტზე მიხაელმა უპრობლემოდ შეინარჩუნა მეწინავეობა, მის უკან კი დიდი ამბები მოხდა: რაიკონენმა უცებ აუარა გვერდი ტრულის და მონტოიას, ალონსომ მეტისმეტად აგრესიულად სცადა პირველ მოსახვევში რალფ შუმახერის წინ შეძრომა, გერმანელმა ცხადია, არ დაუთმო და ნანდოს „რენოს“ კონტაქტისას ცხვირი მოემტვრა. სეზონის გმირ-ლიდერს ბოქსში მოუხდა შესვლა წინა სპოილერის გამოსაცვლელად. ამ პროცედურამ ალონსო მე-17 პოზიციაზე გადაისროლა და ფაქტობრივად, საპოდიუმე შანსიც დააკარგვინა.

შემდეგ ესპანელის „რენოს“ ცხვირის ნამტვრევებს წამოედო დევიდ კულთჰარდის „რედ ბული“, ბორბალი მოენგრა და ტრასიდან გავარდნილი, საბედნიეროდ, მშვიდად მიესვენა მოხრეშილ ზონაში.

მართლაც რომ ბეწვზე გადარჩა ავსტრიელი კრისტიან კლიენი. იმ ავბედით პირველ მოსახვევში იძულებითი შეხლა-შემოხლის შედეგად მისი „რედ ბული“ ორჯერ ამოყირავდა, თუმც მრბოლი არ დაშავებულა.

ამგვარი გრიგალური დასაწყისის მერე რბოლა დაწყნარდა და ლამის ფინიშამდე ექსცესი აღარ მომხდარა. ეგაა, წინწაწეულ შუმახერს აგრესიულად გამოუდგა რაიკონენი, მალე წამოეწია და რამდენჯერმე გასწრებაც სცადა, მაგრამ ჩემპიონმა არ დაუთმო და პირველ პიტსტოპამდე ინარჩუნებდა ლიდერობას. მიხაელმა შუა დისტანციაზე მიაკითხა ბოქსებს საწვავისთვის, ხოლო ერთი წრის შემდეგ კიმიმ, რომელიც უფრო მცირედროიანი შეყოვნების შედეგად რბოლაში შუმის ცხვირწინ დაბრუნდა.

ფინიშამდე ასზე მეტი კილომეტრი რჩებოდა და თითქოს ბრძოლა წინ იყო, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ გამარჯვებული იმ პირველ პიტსტოპის შემდეგ გაირკვა. შუმახერის „ფერარი“ თანდათან ისე დანელდა, ლიდერის დაწევას ვინ ჩივის, კინაღამ მეორე ადგილიც დაკარგა თავის უმცროს ძმასთან ჭიდილში.

სასიამოვნოა, რომ რალფ შუმახერი წლეულს პირველად შედგა პოდიუმზე და საბუდაპეშტო ექვსი ქულით კარიერაში სამასქულიანი ზღვარი გადალახა.

ბოლოს უსიამოვნოზე — გამარჯვების ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატ მონტოიას მერამდენედ ბოლიდმა უმტყუნა და ნაადრევად გამოეთიშა ბრძოლას.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

**უნგრეთის დიდი პრიზი**
**31 ივლისი. ბუდაპეშტი**

დისტანცია 70 წრე — 306,663კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (4) | რაიკონენი (მაკლარენი) | 1.37.25,6 (188,9 კმ/სთ) |
| 2. | (1) | მ.შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 35,6 |
| 3. | (5) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 36,1 |
| 4. | (3) | ტრული (ტოიოტა) | 54,2 |
| 5. | (8) | ბატონი (B.A.R) | 58,8 |
| 6. | (12) | ჰაიდფელდი (უილიამსი) | 1.08,4 |
| 7. | (16) | ვებერი (უილიამსი) | 1 წრით |
| 8. | (10) | სატო (B.A.R) | 1 წრით |
| 9. | (9) | ფიზიკელა (რენო) | 1 წრით |
| 10. | (7) | ბარიკელო (ფერარი) | 1 წრით |
| 11. | (6) | ალონსო (რენო) | 1 წრით |
| 12.. | (18) | კარტიკეიანი (ჯორდანი) | 3 წრით |
| 13. | (20) | მონტეირო (ჯორდანი) | 4 წრით |
| 14. | (14) | მასა (ზაუბერი) | 7 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (17) | ალბერსი (მინარდი) | გაიარა 59 წრე |
| (15) | ვილნევი (ზაუბერი) | 56 |
| (2) | მონტოია (მაკლარენი) | 41 |
| (19) | დორნბოსი (მინარდი) | 26 |
| (13) | კულთჰარდი (რედ ბული) | 0 |
| (11) | კლიენი (რედ ბული) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**

მ.შუმახერი — 1.19,882 (197,4 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**

მონტოია — 1.21,237 (194,1 კმ/სთ)

| F1 | ავსტრალია 6 მარტი | მალაიზია 20 მარტი | ბაჰრეინი 3 აპრილი | სან მარინო 24 აპრილი | ესპანეთი 8 მაისი | მონაკო 22 მაისი | ევროპა 29 მაისი | კანადა 12 ივნისი | აშშ 19 ივნისი | საფრანგეთი 3 ივლისი | დ.ბრიტანეთი 10 ივლისი | გერმანია 24 ივლისი | უნგრეთი 31 ივლისი | თურქეთი 21 აგვისტო | იტალია 4 სექტემბერი | ბელგია 11 სექტემბერი | ბრაზილია 25 სექტემბერი | იაპონია 9 ოქტომბერი | ჩინეთი 16 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 10 | 10 | 10 | 8 | 5 | 10 | – | – | 10 | 8 | 10 | – | | | | | | | 87 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 1 | – | 6 | – | 10 | 10 | – | 10 | – | 8 | 6 | – | 10 | | | | | | | 61 |
| 3 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | – | 2 | – | 8 | – | 2 | 4 | 8 | 10 | 6 | 3 | 4 | 8 | | | | | | | 55 |
| 4 ტრული ტოიოტა, იტალია | – | 8 | 8 | 4 | 6 | – | 1 | – | – | 4 | – | – | 5 | | | | | | | 36 |
| 5 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 3 | 5 | – | – | 2 | 4 | 2 | – | – | – | 10 | 8 | – | | | | | | | 34 |
| 6 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 4 | 5 | – | 5 | 3 | – | 3 | – | 2 | 1 | 3 | 6 | | | | | | | 32 |
| 7 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | – | – | – | – | 1 | 6 | 6 | 8 | – | 2 | – | – | | | | | | | 31 |
| 8 ფიზიკელა რენო, იტალია | 10 | – | – | – | 4 | – | 3 | – | – | 3 | 5 | 5 | – | | | | | | | 30 |
| 9 ჰაიდფელდი უილიამსი, გერმანია | – | 6 | – | 3 | – | 8 | 8 | – | – | – | – | – | 3 | | | | | | | 28 |
| 10 ვებერი უილიამსი, ავსტრალია | 4 | – | 3 | 2 | 3 | 6 | – | 4 | – | – | – | – | 2 | | | | | | | 24 |
| კულთჰარდი, ბატონი — 19, მასა — 8, მონტეირო, ვურცი, ვილნევი — 6, კარტიკეიანი — 5, დე ლა როსა, ალბერსი, კლიენი — 4, ფრიზახერი — 3, ლიუცი, სატო —1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 რენო | 16 | 10 | 10 | 10 | 12 | 5 | 13 | – | – | 13 | 13 | 15 | – | | | | | | | 117 |
| 2 მაკლარენი | 4 | 5 | 10 | 6 | 12 | 14 | 2 | 10 | – | 8 | 16 | 8 | 10 | | | | | | | 105 |
| 3 ფერარი | 8 | 2 | – | 8 | – | 3 | 10 | 14 | 18 | 6 | 5 | 4 | 8 | | | | | | | 86 |
| 4 ტოიოტა | – | 12 | 13 | 4 | 11 | 3 | 1 | 3 | – | 6 | 1 | 3 | 11 | | | | | | | 68 |
| 5 უილიამსი | 4 | 6 | 3 | 5 | 3 | 14 | 8 | 4 | – | – | – | – | 5 | | | | | | | 52 |
| რედ ბული — 24, BAR — 20, ზაუბერი — 14, ჯორდანი — 11, მინარდი — 7 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

29-30 ივლისი

## წყალბურთი

ვაჟები

ფინალი

**სერბეთი 8:7 უნგრეთი**

მე-3 ადგილისთვის

**საბერძნეთი 11:10 ხორვატია**

ქალები

ფინალი

**უნგრეთი 10:7 აშშ**

მე-3 ადგილისთვის

**კანადა 8:3 რუსეთი**

## ცურვა

**კაცები. 200 მ გულაღმა**

| | |
|---|---|
| 1 აარონ პეირსოლი (აშშ) | 1.54,66 |
| 2 მარკუს როგანი (ავსტრალია) | 1.56,63 |
| 3 რაიან ლუჩტე (აშშ) | 1.57,00 |

**200 მ ბრასი**

| | |
|---|---|
| 1 ბრენდან ჰანსენი (აშშ) | 2.09,85 |
| 2 მაიკ ბრაუნი (კანადა) | 2.11,22 |
| 3 გენკი იმამურა (იაპონია) | 2.11,54 |

**4X200 თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 აშშ (მაიკლ ფელპსი, რაიან ლოჩტე, პიტერ ვანდერკააი, კლიტ კელერი) | 7.06,58 |
| 2 კანადა | 7.09,73 |
| 3 ავსტრალია | 7.10,59 |

**100 მ ბატერფლაი**

| | |
|---|---|
| 1 იან კროკერი (აშშ) | 50,40 |
| 2 მაიკლ ფელპსი (აშშ) | 51,65 |
| 3 ანდრეი სერდინოვი (უკრ) | 52,08 |

**50 მ თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 რონალდ შოემანი (ს. აფრიკა) | 21,69 |
| 2 დუჟე დრაგანა (ხორვატია) | 21,89 |
| 3 ბარტოშ კიჟიეროვსკი (პოლ) | 21,94 |

**ქალები. 200 მ ბრასი**

| | |
|---|---|
| 1 ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია) | 2.21,72 |
| 2 ანე პოლესკა (გერმანია) | 2.25,84 |
| 3 მირნა ჯუკიჩი (ავსტრია) | 2.27,11 |

**200 მ გულაღმა**

| | |
|---|---|
| 1 კრისტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) | 2.08,52 |
| 2 მარგარეტ ჰოლცერი (აშშ) | 2.09,94 |
| 3 რეიკო ნაკამურა (იაპონია) | 2.10,41 |

**800 მ თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 კეტე ზიეგლერი (აშშ) | 8.25,31 |
| 2 ბრიტანი რეიმერი (კანადა) | 8.27,59 |
| 3 აი შიბატა (იაპონია) | 2.27,86 |

**4X100 კომბინირებული**

| | |
|---|---|
| 1 ავსტრალია (სოფი ედინგტონი, ლეიზელ ჯონსი, ჯესიკა შიპერი, ლიზბეტ ლენტონი) | 3.57,47 |
| 2 აშშ | 3.59,92 |
| 3 გერმანია | 4.02,51 |

**50 მ ბატერფლაი**

| | |
|---|---|
| 1 დანი მიატკე (ავსტრალია) | 26,11 |
| 2 ანა-კარინ კამერლინგი (შვედ) | 26,36 |
| 3 ტერეზ ალსამარი (შვედეთი) | 26,39 |

**100 მ თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 ჯოდი ჰენრი (ავსტრალია) | 54,18 |
| 2 მალია მეტელა (საფრ) | 54,74 |
| 3 ნატალი გოლინი (აშშ) | 54,74 |

**მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი**

# ზიმბაბვეს რომ ბომბი აქვს!



AFP მონრეალიდან

ზიმბაბველი კრისტი ქოვენთრი

**პარასკევ-შაბათს** მონრეალში მედლების 13 კომპლექტი გათამაშდა და შესაბამისად 13 დისციპლინაში გამოვლინდა ჩემპიონი, მაგრამ ყველა 13-ვეს ბოდიში მოვუხადოთ და, ეს მცირეოდენი მიმოხილვა ბერძნების ბრინჯაოთი დავიწყოთ, რომლებიც მათ წყალბურთში მოიპოვეს.

ბერძნებს აქამდე კინკილა მედალიც არ მოეპოვებინათ აუზში და საზოგადოდ წყალბურთშიც არასდროს არაფერი მოეგოთ. ასე რომ, მესამე ადგილისთვის მატჩში გაცილებით ტიტულასხმულ ხორვატებთან შეხვედრაში არც თავი დაზოგეს, არც მეტოქე და მეორე დამატებითი დროის შემდეგ სანატრელი გამარჯვებითაც გაიხარეს. არადა, ხორვატია საჩემპიონო გაქანების გუნდი გახლავთ და საერთოდ უმედლოდ რომ დარჩა, ამას ბერძნები უმარტივესად ხსნიან — ჩვენ უფრო გვჭირდებოდა ეს მოგებაო.

ხარობდა ელინთა მწვრთნელი ალესანდრო კამპანაც — „უბედნიერესი კაცი ვარ. საბერძნეთის ნაკრებს დიდ ტურნირებზე არასდროს მიეღწია სერიოზული წარმატებისთვის და ამ სამი წლის წინ ნაკრები რომ ჩავიბარე, ვერც წარმოვიდგენდი აქამდე თუ მოვახერხებდით მოსვლას. ბიჭებს შრომა დაუფასდათ, ისინი ალალად იმსახურებდნენ ამ ბრინჯაოს. ეს მედლები ჩვენთვის ოქროს ტოლფასია."

ჩემპიონი კი სერბეთ-ჩერნოგორიის მუდამ ძლიერი ნაკრები გახდა, რომელმაც კაპიტან დანიელო იკოდინოვიჩის მეოთხე და გადამწყვეტი ბურთის წყალობით ოქრო წაართვა ასევე მუდამ ყოჩაღ უნგრელებს. რაც შეეხებათ ქალებს, აქ უნგრელებმა ვაჟებზე ბევრად ყოჩაღად იცურ-იბურთავეს და ისედაც ოქრომრავალი ამერიკელები ვერცხლს დააჯერეს.

ახლა მოცურავეებს მივუბრუნდეთ, რომელთა შორის საინტერესოც ბევრი მოხდა და ახალი რეკორდებიც გამოცხვა. შაბათს, 30 ივლისს კვლავ მოეცარა ხელი ამერიკელთა ჯილა მაიკლ ფელპსს, თანაც მან თავისი სახეობა, ბატერფლაი დათმო. 100 მეტრ ბატერფლაიში ფელპსის მუდმივმა მეტოქემ იან კროკერმა თავიდანვე ისე მოუსვა ხელები, ფელპსს მთელი ტანით მიასწრო ფინიშთან [illegible]. გამარჯვებულმა 100 მეტრი 50,40 წამში დაფარა [illegible] რეკორდს 0,36 [illegible]

პარასკევს თავისი წილი რეკორდი გამოაცხო გულაღმა სტილით მსოფლიოს უჩაუქესმა მოცურავემ აარონ პეირსოლმა, ვინაც 200 მეტრს წუთი და 54,66 წამი მოანდომა და შარშან დამყარებულ საკუთარსავე მსოფლიოს რეკორდს 0,08 წამი მოაკლო.

პარასკევსვე დამყარდა კიდევ ერთი მსოფლიოს რეკორდი 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. ქალებში იმხელა უპირატესობით იმარჯვა ლეიზელ ჯონსმა, რომ შეუძლებელია, მისი შედეგი სარეკორდო არ ყოფილიყო — მართლაც მისი დრო 2 წუთი და 21,72 წამი მთელი 0,72 წამით ნაკლებია ამანდა ბერდის შარშანდელ რეკორდთან.

და კიდევ ერთ პერსონაზე მოგახსენებთ — ზიმბაბვეს პასპორტიანი მოცურავე კრისტი ქოვენთრიმ 200 მეტრი გულაღმა გაცურვა მოიგო და თავის ქვეყანას მეორე ოქრო და მესამე მედალი მოუპოვა. ამ გოგონას წყალობით ეს სამხრეთ აფრიკული ქვეყანა მედლების საერთო ჩათვლაში მე-9 ადგილზე წამოსკუპებულა.

### კოტე ყორშია

### მედლების დაფა

| | ოქრ | ვერ | ბრინ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 15 | 13 | 6 | 34 |
| ავსტრალია | 10 | 7 | 3 | 20 |
| ჩინეთი | 5 | 5 | 6 | 16 |
| რუსეთი | 5 | 2 | 2 | 9 |
| კანადა | 3 | 4 | 3 | 10 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 5 |
| გერმანია | 2 | 7 | 4 | 13 |
| ს. აფრიკა | 2 | 1 | 2 | 5 |
| ზიმბაბვე | 2 | 1 | 0 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 4 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 3 |
| იტალია | 1 | 3 | 3 | 7 |
| უნგრეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 3 | 5 |
| სერბეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| იაპონია | 0 | 4 | 6 | 10 |
| შვედეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| ავსტრია | 0 | 1 | 1 | 2 |
| ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| კუბა | 0 | 1 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 0 | 1 |
| უკრაინა | 0 | 0 | 3 | 3 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| ბრიტანეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| საბერძნეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ტუნისი | 0 | 0 | 1 | 1 |

## მოტორბოლა

### მსოფლიოს ჩემპიონატი. მეათე ეტაპი

**გერმანიის დიდი პრიზი. *ზაქსენრინგი — 3671მ***

**მოტო გრან პრი — 91,8 კმ**

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) ---------- 35 წთ; 04,4
2 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) ---------- ჩამორჩა 0,7
3 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) ---------- 0,9

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 236 ქულა; 2 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) 116; 3 გიბერნო 115 4 კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაჰა) 114; 5 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) 113;

**250 სმ³ — 108,6 კმ**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) ---------- 41 წთ; 35,1
2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია) ---------- ჩამორჩა 7,9
3 ჰიროსი აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა) ---------- 11,2

**საერთო ჩათვლა**

1 პედროსა 181 ქულა; 2 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) 131; 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 124; 4 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია) 96; 5 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, აპრილია) 89

**125 სმ³ — 36,2 კმ**

1 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) ---------- 29 წთ; 46,8
2 ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) ---------- ჩამორჩა 0,1
3 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) ---------- 0,3

**საერთო ჩათვლა**

1 ლუტი 119; 2 კალიო 116; 3 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) 113; 4 სიმონჩელი 101; მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) 100 ქულა

# ფუი ეშმაკს — ქალი ქალსაო...

**ამერიკის** მოქალაქე ლუენ როზეტმა ერთ დროს საჩოგბურთო რეიტინგით 49-ე ადგილზე მყოფ ბელარუს ოლგა ბარაბანშჩიკოვას საქორწინო ხელშეკრულების დაცვა მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკელი ქალი ბელარუსი ქალისგან ითხოვს ნაჩუქარი ძვირფასეულობის, საკრედიტო ბარათებისა და ვერცხლისფერი BMW X5-ის დაბრუნებას.

როგორც ლუენ როზეტის ვექილი ამბობს, წლეულს თებერვალში მისმა კლიენტმა ბარაბანშჩიკოვასთან „დადო საოჯახო პარტნიორული საქორწინო ხელშეკრულება", რომელშიც ერთობლივი ცხოვრების პირობებია დადებული. კერძოდ, ერთობლივი ცხოვრების პირველი წლის მერე ოლგას შეუძლია დაიტოვოს მეუღლის მიერ ნაჩუქარი ნივთები, კიდევ სამწლიანი ქორწინების მერე ლუენი ვალდებულია აღმოუჩინოს ოლგას ფინანსური დახმარება მთელი წლის განმავლობაში, ხოლო ამ წლის მერე ორივე მხარემ ქონება თანაბრად უნდა გაიყოს. სექსუალური ერთგულების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულება ძალადაკარგულად ითვლება.



„ოლგამ ჩემგან ძვირფასი საჩუქრები მიიღო. მეგონა, რომ ჩვენ ერთმანეთის ერთგულნი ვიყავით, მაგრამ ახლა საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ოლგა კაცებთან მღალატობდა. მე იგი ორგულობაში გამოვიჭირე და ვთვლი, რომ მან უნდა დამიბრუნოს ის, რაც ჩვენი ხელშეკრულებითაა გაფორმებული — განაცხადა როზეტმა.

ამერიკელის თქმით, მან ბარაბანშჩიკოვა გაიცნო 1999 წელს და მას მერე ერთად ცხოვრობენ.

სხვათა შორის, სწორედ იმ 1999 წელს ჟურნალმა TENNISVSA-მ ბარაბანშჩიკოვა მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ ჩოგბურთელად აღიარა.

# თექვსმეტი დაკვირვება

ზემოდან ქვემოთ ჩამომწკრივებულან ავსტრიელი ჰაილი რედევეის, ფრანგი ლორი მანუდუს, იაპონელი აი შიბატას, იაპონელივე შაჩიკო იამადას და კანადელი ბრიტანი რეიმერის... საჯდომები. აუზის კიდეზე მდგარი მსაჯები კი ბასრი თვალით უყურებენ ამ საჯდომთა პატრონებს, რათა მათ წესის დაცვით გააკეთონ ბრუნი და უკანა გზაზე გასცურონ. აუზის იქითა კიდეზე კი უკვე სხვა მსაჯები დააკვირდებიან და ასე სულ 16-ჯერ მოხდება დაკვირვება, რაკი მიმდინარეობს 800 მეტრზე ცურვის შეჯიბრი და აუზის სიგრძე სტანდარტული, 50-მეტრია. ყველაფერი ეს კი კანადაში, მონრეალის ჟან დრაპოს სახელობის აუზში ხდება მსოფლიოს ჩემპიონატის ეგიდით.





# ქურციკთა დღე

საქომაგოდ შემართულა მავანი სამხრეთაფრიკელი ფანი, რომელსაც სახეზე სწორედაც რომ ქურციკი, ამ ქვეყნის მორაგბეთა მთავარი ნიშან-სიმბოლო გამოუსახავს. პრეტორიაში სამი ერის ტესტ-მატჩი გაიმართა და მასპინძლებმა 22:16 დასცეს მომხდური ავსტრალიელები.



# დაკვირვებული აუტსაიდერი

სტოკჰოლმის გარეუბან კუნგსანგენში სკანდინავიური მასტერსის ევროპული ტური გახურებულა. ტურნირის აუტსაიდერი კია, მაგრამ იოკიმ ჰეგმანი დიდის გულისყურითა და დაკვირვებით ზომავს მინდვრის მე-15 საგოლფე ფოსოსკენ მიმავალ გზას. გათამაშებას უელსელი ბრედლი დრეჯი ლიდერობს 13 ქულით, საკუთრივ ჰეგმანს კი 4 შეუკონწინებია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გულუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208, ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge